# ურჯი
# როვნებისა

975
1998

№6-7
1998



ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
იოსებ ჭუმბურიძე

პასუხისმგებელი მდივანი
კახა გაბუნია

რედაქტორები:
ციცინო (ნინო) კვანტალიანი,
მარინე კოკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე

მხატვრული რედაქტორი
ირაკლი ავალიანი

მხატვარი
გია ლაშხი

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჭულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
ქეთევან დათუკიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
ლევან ღვინჯილია,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე

ნომრის რედაქტორი
ნანა ლოლაძე

„ბურჯი ეროვნებისა“
რეგისტრირებულია საქართველოს
იუსტიციის სამინისტროში, 1686.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8,
ტ. 99-80-46

ინდექსი 76016



ილუსტრაცია
გალაკტიონ ტაბიძის
ლექსისა „თოვლი“

მხატვარი
გია ლაშხი

ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№6–7

1998

# შინაარსი

**ნომრის სტუმარი**

სახელმწიფო ენას – სახელმწიფოებრივი ზრუნვა (საუბარი ბ-ნ **ლ. ღვინჯილიასთან**) ..... 2

**ქართული ენის მოქირნახულე**

ინტერვიუ ამერიკელ ქართველოლოგთან, პროფესორ **ალის ჰარისთან** ..... 5

**თვალსაზრისი**

ზ. ზარიძე – „კელი მონისა არსუკის ძისა“ ..... 6

**მეცნიერის არქივიდან**

კორნელი კეკელიძის უცნობი წერილი ..... 9

**ენა და მწერალი**

გ. ჯავახიშვილი – ქართული სიტყვის მოჭაშნიკე ..... 11

**უკვდავება ღვაწლისა**

ვ. იმნაიშვილი – ქურუმი დედაენის ტაძრისა (კ. ჩხენკელი) ..... 12

**აბიტურიენტის ფურცელი**

ბ. წიფურია – გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის გაგებისათვის ..... 15

**მეთოდიკა**

ლ. ჭეიშვილი – ქართული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად ..... 17

**კვალი ნათელი**

ც. ბერიძე – ღვაწლი ლადო ალნიაშვილისა ..... 19

**მილოცვა**

დამსახურებული ჯილდო ..... 21

თ. ხმალაძე – რადიოპროგრამა „ენაჲ შემკული და კურთხეული“ ..... 21

**რეცენზია**

დ. მელიქიშვილი – ე. ხინთიბიძე, „ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია“ ..... 22

**სამეცნიერო ინფორმაცია** ..... 23

**ახალი წიგნები** ..... 23

**ტრადიცია და თანამედროვეობა**

ნ. კვანტალიანი – საქართველოში დღესაც იქმნება შედევრები ..... 24

გარეკანის I გვერდზე: „კიდევაც დაიზრდებიან“, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი

III გვერდზე: ბ. ლულუშაურის ტიხრული მინანქარი

IV გვერდზე: სვეტიცხოველი, დასავლეთფასადი



უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა.

**იაკობი**

გამოდის თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი

21.066

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელმწიფო ენას - სახელმწიფოებრივი ზრუნვა

**გ**ანვაგრძობთ ჟურნალის წინა ნომერში დაწყებულ დიალოგს. საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, ლევან ღვინჯილიას ესაუბრება „ბურჯი ეროვნებისას" მთავარი რედაქტორი. წინა ნომერში საუბარი იქ შევწყვიტეთ, ენის კანონის შემუშავების აუცილებლობაზე რომ ვსაუბრობდით და რა რთული ენობრივი პრობლემების წინაშე ვდგავართ არაქართველი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში.

**გ.გ. – ბატონო ლევან, ახლახან გაიმართა კონფერენცია „ღლევანდელობა და სახელმწიფოებრივი ცნობიერების საკითხები". ერთ-ერთმა მომხსენებელმა თქვა, რომ ქვემო ქართლში აქვთ სურვილი ქართული ენის შესწავლისა, ითხოვენ მასწავლებელს, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, მათი სურვილი დავაკმაყოფილოთ, უზრუნველვყოთ არაქართველთათვის ქართული ენის სწავლება. რა იცით თქვენ ამის თაობაზე, მართლა არ შეგვწევს ძალა, ჩვენი სახელმწიფო ენა ვასწავლოთ ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქეს?**

**ლღ.** – სამწუხაროდ, ასეა. ჩვენ ამას ჯეროვნად თავი ვერ გავართვით, იმის გამო, რომ ეს საქმე ჯეროვნად არ არის ორგანიზებული შესაბამისად სახელმწიფოებრივ დონეზე. ამ საქმის მოგვარება ფინანსური თვალსაზრისით დაკისრებული აქვთ გუბერნატორებს – პრეზიდენტის რწმუნებულებს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. რატომღაც ჩაითვალა მიზანშეწონილად, რომ ეს ნაწილი ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა თურმე იქ გუბერნატორებმა უნდა მართონ და არა იმ სამსახურმა, რომელიც საამისოდ არის შექმნილი ქვეყანაში.

**გ.გ. – იგულისხმება ენის სახელმწიფო პალატა, არა?**

**ლღ.** – დიახ. ამ საკითხზე თითქმის მთელი წელი იყო მსჯელობა, იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ბოლოს მაინც ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. თანხა, რომელიც საამისოდ გამოიყო 1997 წლის ბიუჯეტში, ნაწილ-ნაწილ, 350-350 ათასი ლარი გადაეცათ ამ მხარეებს. სინამდვილეში ქვემო ქართლის მხარემ, რამდენადაც მე ვიცი, შარშან მიიღო მხოლოდ 120 ათასი ლარი; რისთვის დაიხარჯა ეს ფული, რა შედეგები მოჰყვა ამ ხარჯებს, ჩვენთვის ცნობილი არ არის, რამდენადაც ენის სახელმწიფო პალატა ამ საქმიანობიდან მთლიანად გამოთიშულია. მოგეხსენებათ, ვერანაირი ღონისძიება ვერ გატარდება, თუ მას შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა არა აქვს.

**გ.გ. – ბატონო ლევან, აქ რამდენადაც სკოლებზე ქართულ ენის სწავლებაზეა საუბარი, უპირველეს ყოვლისა, ვფიქრობ, განათლების სამინისტროს პოზიციაა მთავარი და არსებითი.. და არა მხოლოდ ზემოდასახელებულ რეგიონებში. ქართული ენის სწავლების პრობლემები დგას არა მხოლოდ არაქართულენოვან სკოლებში, არამედ ქართულ სკოლებშიც. დიახ, ჩვენ ადრეც ვწერდით, რომ ქართული ენა ქართულ სკოლებში, განსაკუთრებით X-XI კლასებში, „გერის" როლში აღმოჩნდა; ამის თაობაზე საკმაო მასალა გვაქვს.**

**ლღ.**– არა მარტო ქართული ენის სწავლებაა მძიმე მდგომარეობაში, საერთოდ ჩვენი განათლების სისტემაა უმძიმეს ვითარებაში. თუნდაც იმის გამო, რომ თვეობით (ზოგჯერ მთელი წლის მანძილზე) პედაგოგები ხელფასს ვერ იღებენ. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი საგნის სწავლების პრობლემა დგას.

**გ.გ. – ცხადია, განათლების სისტემას ძალიან უჭირს, მაგრამ მე როცა ქართული ენის სწავლების პრობლემებზე ვამახვილებ ყურადღებას, ასეთი ფაქტი მაქვს მხედველობაში: X-XI კლასებში, იქ, სადაც სასწავლო პროცესი ჯერ კიდევ არ ჩაშლილა (საბედნიეროდ, ასეთი სკოლებიც არის), სასწავლო გეგმებსა და ცხრილებში ქართული ენა კი არის შეტანილი, მაგრამ იშვიათი გამონაკლისის გარდა ეს გაკვეთილები არ ტარდება; ჩვენ გამოკითხვა ჩავატარეთ, ასეთი სურათია: ქართული ენის გაკვეთილი ან ცდება, ან ქართული ლიტერატურა იჭერს მის ადგილს, ან – სხვა საგანი. ადრე იმიზეზებდნენ, რომ სახელმძღვანელო არა გვაქვსო. X კლასში ახლა ეს პრობლემა მოხსნილია, მაგრამ ვითარება არ გამოსწორებულა. და, ასე ვთქვათ, დისკრედიტაცია ქართული ენისა, როგორც სახელმწიფო ენისა, უკვე იქ იწყება – სკოლაში იღებს სათავეს. როცა ასეთი დამოკიდებულებაა სახელმწიფო ენის სწავლებისადმი, გვაინტერესებს, ბატონო ლევან, თქვენ რა შეხება გაქვთ. საკითხს ასე მინდა შევხედოთ: თუ იქ, სკოლაში, არ მოგვარდა ეს საქმე, ქართული ენისადმი დამოკიდებულებამ იქ თუ არ მიიღო სერიოზული ხასიათი, მერე ძალიან გაგვიჭირდება.. ქუჩაში, რადიო-ტელევიზიაში, პრესასა და, საერთოდ, ცხოვრებაში ხდება სკოლაში გამომუშავებული ჩვევების გამოვლენა. მოკლედ, სკოლას შეუძლია გაგვიიოლოს, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, გაგვირთულოს პრობლემები.**

**ლღ.**– რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს სრული უფლება, ამ საკითხებში ჩავერიოთ მხოლოდ საკითხის დასმის წესით: შეგვიძლია დავსვათ საკითხი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს, შესაბამისი სამინისტროს წინაშე ამ პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით და, ასე ვთქვათ, მივაწოდოთ ჩვენეული წინადადება, როგორ მოწესრიგდეს ეს საქმე საბედნიეროდ, საქართველოში არ არის დეფიციტი აზრისა: იმისა, თუ როგორ გაკეთდეს, როგორ მოგვარდეს მოსაგვა-

რებელი საკითხი, მაგრამ, სამწუხაროდ, გაჭირვება გვაქვს, ვინ უნდა გააკეთოს და რა არის საჭირო იმისათვის, რომ გაკეთდეს... ასეთ შემთხვევაში იოლ გზას ვეძებთ და მეტწილად ვცდილობთ ხოლმე, ბავშვს როგორმე სკოლა დავამთავრებინოთ; როგორმე სამიანი მაინც მივაღებინოთ და ჩაითვალოს, რომ ეს კურსი მოისმინა... უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების პრობლემა თქვენთვის ცნობილია და იქ გამოცდა ქართულ ენაში მეტწილად ფორმალური ხასიათისაა; ზოგ უმაღლეს სასწავლებელს მიაჩნია, რომ ქართული არ არის მისთვის მთავარი; მთავარია, ვთქვათ, საინჟინრო დარგი, ან არქიტექტურის დარგი, ან მუსიკისა, მაგრამ იმისათვის რომ ამ დარგების წარმომადგენელს შეეძლოს თავისი აზრის გამართულად გადმოცემა, მან რა ცოდნა უნდა მიიღოს, ამაზე, სამწუხაროდ, აღარ ფიქრობენ.

**გ.გ. – ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მიმართვის საფუძველზე იმსჯელა რექტორთა საბჭომ. ჩვენი ჟურნალის IV ნომერში გამოვაქვეყნეთ ეს მასალა. ფაქტობრივ რექტორთა საბჭოს ერთი აზრი ჰქონდა: ქართულს ყველა უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი უნდა აბარებდეს და შემდეგ ქართული ყველგან უნდა ისწავლებოდეს. თუმცა ერთ-ერთმა რექტორმა ისიც თქვა, რომ უჭირს კონტიგენტის შევსება და ამიტომ მისაღებ გამოცდებზე უარს ამბობს ქართულზე; არგუმენტი ასეთი იყო: ქართული არ იციან და ამ საგანში მისაღები გამოცდის ჩაბარება კონტიგენტს გამონახევრებსო...**

**ლდ.**– სოციალისტური მენტალიტეტიდან ჩვენ თუ თავი არ დავაღწიეთ ამ შემთხვევაში და თუ ვეცადეთ, რომ სასწავლებელში აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ ამდენი ათასი სტუდენტი, იმიტომ რომ შესაბამისად ამდენი ათასი პედაგოგი უნდა დავასაქმოთ იქ, ასეთ შემთხვევაში ნაბიჯს ვერ წავდგამთ წინ.

**გ.გ. – ეს ბრძანა სწორედ რექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა: „არ იცის ქართული? არ უნდა მივიღოთ უმაღლეს სასწავლებელში... საზღვარგარეთის რომელ ქვეყანაში მიიღებენ იმ ქვეყნის ენის უცოდინარ კაცს? სად აკეთებენ ასე, ჩვენთან რომ ხდება? უარი უნდა ვთქვათ ასეთ კონტიგენტზე, რაგინდ სირთულეებიც გვექმნებოდეს".**

**ლდ.** – ცხადია, ასე უნდა იყოს. მე შემხვედრია ბევრი ფიზიკოსი, რომელიც ჩინებულად წერს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანს საკუთარი ავტობიოგრაფიის დაწერა არ შეეძლოს გამართულად და იმისგან გაიზარდოს სწავლული აგრონომი თუ სწავლული ინჟინერი, ან სხვა ვინმე.

**გ.გ. – მერე ისინი ხელმძღვანელები ხდებიან და თქვენ, ალბათ, ყველაზე მეტი პრობლემა ასეთ ხელმძღვანელებთან შეგქმნიათ... ძნელია ასეთ ადამიანებთან იმის ახსნა-განმარტება, რამდენად საჭიროა ქართულის ცოდნა, ქართულად საქმის წარმოება, ქართული რეკლამები და ა.შ. ამ პრობლემას ართულებს სწორედ ის, რომ სკოლაში არ მოვამზადეთ მოსწავლე საამისოდ, არ გავზარდეთ იმ შეგნებით, რომ მათთვის და ქვეყნისთვის საჭიროა სახელმწიფო ენის რიგიანი ცოდნა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ გავუცნობიერეთ მას მიზანი დედაენის შესწავლის აუცილებლობისა.**

**ლდ.** – ბატონო გიორგი, უბედურება ისაა, რომ ენის კარგად ცოდნა საქართველოში არ ითვლება პიროვნების ღირსების შემადგენელ ნაწილად.

**გ.გ. – ბატონო ლევან, ეს რომ მოსაგვარებელია, ფაქტია; რა გზით მოვაგვაროთ ეს საქმე, რა უნდა გავაკეთოთ საამისოდ?**

**ლდ.** – ბორბლის გამოგონება არ არის საჭირო... ჩვენ უნდა გავატაროთ იმგვარი ღონისძიებანი, რასაც სხვა ქვეყნებში აკეთებენ; მათ მსგავსი გამოცდილება აქვთ და მსგავსი გზა მრავალმა ქვეყანამ გაიარა. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება სხვა სფეროში, ვთქვათ რეკლამის სფეროში ან სხვაგან, მრავალი ქვეყნისთვის განვლილი ეტაპია; ის, რაც ჩვენ ზოგჯერ ახალი გვგონია, იქ ეს დიდი ხნის დავიწყებულია... თუ ნელ-ნელა მივაღწევთ ისეთ ვითარებას, რომ ადამიანი პირადი ღირსების მიხედვით ფასდებოდეს და არა იმის მიხედვით, მის ზურგს უკან ვინ დგას და ვისი ნათესავია; არჩევნების დროსაც ამ პრინციპს გავიხდით სახელმძღვანელოდ, პიროვნულ ღირსებას წამოვწევთ წინ და არა მის კასტურ თუ ნათესაურ გარემოს, – ასეთ შემთხვევაში შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ პიროვნება ფასდებოდეს იმის მიხედვით, რამდენად გამართულად მეტყველებს, რამდენად კარგად იცის მშობლიური ენა.

**გ.გ. – მორალურ დონეზე ამ საკითხის დასმა პრობლემას ვერ მოაგვარებს; ისევ იქ მივდივართ – ენის კანონია საჭირო, ისეთი კანონი, სადაც გარკვევით იქნება თქმული, რომ პრესის, ტელევიზიის, რადიოს და ა.შ. ენა უნდა იყოს ქართული... კანონი უნდა ავალდებულებდეს რიგიანი ქართულის ცოდნას კაცს... მაგალითად, საფრანგეთში ენის კანონი ამგვარ საკითხებს აგვარებს...**

**ლდ.** – მეტსაც მოგახსენებთ, იმ კანონის ძალით აღმასრულებელ სტრუქტურებს და ამ სტრუქტურებში დასაქმებულთ აქვთ უფლება, ძალიან მკაცრი ზომები გაატარონ მათ მიმართ, ვინც ამ კანონს არ დაიცავს... ჩვენ კი დიდი წვალების შემდეგ იმას მივაღწიეთ, რეკლამის კანონში ერთი წინადადება შევიტანეთ, რომ რეკლამა ქვეყანაში გაკეთდეს სახელმწიფო ენაზე.

**გ.გ. – რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ეს თქვენი დიდი დამსახურებაა – ენის სახელმწიფო პალატისა და პირადად თქვენი.**

**ლდ.** – მაგრამ ჩვენ ამის გამო ახლა ბრალდებებსაც გვიყენებენ, რომ ვზღუდავთ საქართველოში ინვესტიციებს; ვთქვათ, ვუშლით ხელს საქართველოში სიგარეტის რეკლამირებას... ამ დროს არავინ არავის ხელს არ უშლის. ფაქტობრივად, კანონის ამ მუხლის წინააღმდეგ გამოდიან უცხოელ ინვესტორთა ქართველი პარტნიორები და არა

თავად ისინი. როდესაც ჩვენ, ქართველები, ვერ ვარკვევთ ურთიერთობას და იძულებული ხდებიან, თავიანთი უცხოელი პარტნიორები მოიყვანონ ჩვენთან, ორ-სამ წუთში ყველაფერი ნათელი ხდება. ამის თვალსაჩინო მაგალითია მაღაზია „სამსუნგი", რუსთაველის პროსპექტზე რომ არის, ოპერის თეატრის გვერდით. ორი თვის მანძილზე გვქონდა თითქმის ყოველდღიური კამათი იმაზე, ქართულად უნდა ჰქონოდა თუ არა წარწერა ამ მაღაზიას. როდესაც ჩვენთან მოვიდა უცხოელი წარმომადგენელი, პირველწინადადებითვე გაიგო მან, რას ეხებოდა საქმე, კეთილი, თქვა და წავიდა; მოგვარდა საქმე.

**გ.გ. – სამწუხაროდ, როგორც ჩანს, პრობლემებს ჩვენ თავად ვიქმნით. რადგან რეკლამას შევეხეთ, ესეც მინდა მკითხველს შევახსენოთ: კარგა ხანია მოქმედებს კანონი რეკლამის შესახებ; თუმცა აქ იმასაც გვეტყვიან, კანონი კი მოქმედებს, მაგარმ პრობლემები რჩება.**

**ლდ.** – კანონი რეკლამის შესახებ 8 მარტს შევიდა ძალაში. 8 მარტის შემდეგ თუ ახალი რამ გაკეთდებოდა, ამ კანონის შესაბამისად უნდა გაკეთებულიყო; 7 მაისამდე მიეცათ ვადა იმათ, ვისაც ხელშეკრულება უკვე დადებული ჰქონდა და სარეკლამო დაფები ჰქონდა გამოფენილი ქალაქში. 7 მაისიდან ყოველგვარი ვადა ამოწურულია და საკითხი დგას ძალიან მარტივად: ის, ვინც რეკლამის კანონის მოთხოვნებს არ დაემორჩილება, ანტიმონოპოლიური სამსახურის მეშვეობით გადაეცემა სასამართლოს, საკმაოდ სოლიდურ ჯარიმას გადაიხდის; მეორე შემთხვევაში გაორმაგებულ ჯარიმას გადაიხდის და თუ კიდევ არ გაასწორა, დადგება იმ პირთა პასუხისგების საკითხი.

**გ.გ. – რა ვადებში უნდა მოაგვაროს მან ეს საკითხი?**

**ლდ.**– ვადები განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა სახისაა რეკლამა.

**გ.გ. – ბატონო ლევან, ერთი კონკრეტული საკითხიც: ძალიან მძიმე მდგომარეობაა ჩვენს ტრასებზე: აჭრელებულია გზები ნაირ-ნაირი წარწერებით. წარწერების ხასიათი, თემა, ენა, ესთეტიკური სახე, როგორც იტყვიან, კრიტიკას ვერ უძლებს. ვის ეხება ეს საქმე, ვინ გასცემს ნებართვას ამ წარწერების თაობაზე, ვის ევალება ამის კონტროლი?**

**ლდ.** – თუ ეს წარწერები საგზაო მოძრაობას უშლის ხელს, ასეთ შემთხვევაში ნებართვა უნდა იყოს აღებული შესაბამისი სატრანსპორტო სისტემიდან – საგზაო ზედამხედველობის პოლიციისაგან; ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ნებართვა უნდა იყოს აუცილებლად და გზატკეცილებზე უნდა იყოს აგრეთვე ნებართვა საავტომობილო გზების სახელმწიფო კორპორაციისაგან. ნებისმიერი წარწერა სარეკლამო ხასიათისა, რომელიც ტრასებზე თუ ქუჩებზე დადგმება, აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს რეკლამის კანონის მოთხოვნებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან უნდა იყოს შეთანხმებული; უამისოდ არ შეიძლება. ენის პალატას აქვს შესაბამისი სამსახურები შექმნილი რაიონებში და აუცილებლად ტექსტობრივი ნაწილი ამ გამოსაფენი ნაწილისა უნდა იყოს შეთანხმებული ენის პალატის შესაბამის სამსახურთან; სადაც ეს არ იქნება ამ თვალსაზრისით გაფორმებული, ითვლება რომ არის კანონდარღვევით დადგმული და კანონით ისევ უნდა მოიხსნეს.

**გ.გ. – რას იტყოდით რეკლამის ესთეტიკურ მხარეზე. სურამის მიდამოებში ვისაც გაუვლია, ტრასაზე საოცარი სურათია: ვისაც რა მოსურვებია, ის დაურქმევია, ამა თუ იმ ჯიხურში რა იყიდება, ჩამონათვალია გამოდგმული გზაზე; მენიუს გვთავაზობენ ქუჩებში.**

**ლდ.** – ნორმალურ ქვეყნებში მენიუ ქაღალდზე დაბეჭდილი დევს მაგიდაზე რესტორანსა თუ კაფეში; ჩვენ ამ მხრივაც გამორჩეულები ვართ: ის „ოსტრი", „სალიანკა", „ხაჭაპური" და სხვა მრავალი ქუჩაშია გამოტანილი. არსებობს არქიტექტურისა და დიზაინის სამსახურები, რომლებიც ამ მხარეს უნდა აქცევდეს ყურადღებას; სამწუხაროდ, ჩვენ შეგვიძლია რეკლამის ესთეტიკურ სახეზე ვიმსჯელოთ, ჩავერიოთ მაშინ, თუ ქართული ანბანის მოხაზულობა არის დამახინჯებული.

**გ.გ. – იქნებ უფრო ვრცლად გვეთქვა ამ საკითხზე – გრაფიკული სახე წარწერის, რა ვითარებაა და რა უფლებები გვაქვს ამ საკითხში.**

**ლდ.**– სამწუხაროდ, ამგვარი საკითხები კანონმდებლობის თვალსაზრისით გათვალისწინებული არ არის ისევ ენის კანონთან მიმდივართ; ენის კანონმა უნდა ასახოს ისიც, თუ ტრადიციული წესი ქართული ანბანის გამოყენებისა, დაწერილობისა როგორ იყოს კანონმდებლობით დაცული; დავაზუსტოთ: თუ ეს არის საზოგადოებრივი დანიშნულების წასაკითხი ტექსტი, იქ რაღაც ნორმები უნდა იყოს დაცული. ამ მხრივაც დავიწყეთ ჩვენ მუშაობა სტანდარტიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტთან და ვაპირებთ ქართული გამოყენებითი შრიფტის სტანდარტიზაციის საკითხის დასმას და ეს სტანდარტები უნდა გამოიცეს. კომპიუტერული შრიფტის საკითხიც პრობლემაა და ცალკე მსჯელობის საგანი.

* * *

***P.S.** ბატონ ლევან ღვინჯილიასთან საუბარმა დამარწმუნა, რომ ენის სახელმწიფო პალატა მრავალი პრობლემის წინაშე დგას, საქმე კეთდება, მაგრამ უამრავია გასაკეთებელი; მრავლადაა ხელისშემშლელი პირობაც და პირიქით – საზოგადოებრივი თანადგომა, მხარდაჭერა, ყოველი ჩვენგანის მიერ ამ საქმის გათავისება – აუცილებელი პირობაა საქმის წარმატებისა. პალატამ ენის კანონის პროექტიც შეიმუშავა; დროული განხილვა და ამ კანონის მიღებაა საჭირო. მოკლედ, მკითხველი მისთვის საინტერესო ყველა კითხვაზე ჩვენს დიალოგში ვერ მიიღებდა პასუხს, მაგრამ ვიტოვებთ იმედს, კვლავ შევხვდებით, კვლავაც ვისაუბრებთ ამ თემებზე. დღეს აქ შევწყვეტთ დიალოგს.*

გ.გ.

**ცნობილი ამერიკელი ქართველოლოგი, პროფესორი ალის ჰარისი, ამჟამად თბილისში იმყოფება. ჩვენი თხოვნით მას რამდენიმე შეკითხვით მიმართა ქ-ნმა შუქია აფრიდონიძემ.**

# ინტერვიუ ამერიკელ ქართველოლოგთან, პროფესორ ალის ჰარისთან



ქალბატონო ალის!

**თქვენ ბრძანდებით ქართული ენის ცნობილი მკვლევარი, თქვენი მონოგრაფიები კარგად არის ცნობილი ქართველოლოგიის მკვლევართათვის. რაზე მუშაობთ ამჟამად?**

– ჩემი უკანასკნელი ნაშრომი გახლავთ 1995 წელს გამოცემული წიგნი „ისტორიული სინტაქსი ენათა გადაკვეთის პერსპექტივაში". ჩემი თანაავტორია ლილ კემპბელი, ქ. ქრაისტ-ჩერჩის (ახალი ზელანდია) კენტერბერის უნივერსიტეტის პროფესორი, მაიას, უტო-აცტეკურისა და ფინურ-უნგრული ენების სპეციალისტი.

ამ წიგნში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა სინტაქსურ ცვლილებათა ზოგადი დახასიათება. აღვწერეთ რეალურ და პოტენციურ სინტაქსურ ცვლილებებს. ვვარაუდობთ, რომ მათ საფუძვლად უდევს სამი მექანიზმი: რეანალიზი, განვრცობა და სესხება. სხვა საკითხები, რომლებსაც აქვე განვიხილავთ, მაგალითად, გრამატიკალიზაციის, ანალოგიის და სხვ., ზემოაღნიშნული მექანიზმების ვარიანტებია მხოლოდ. საგანგებო ყურადღებას ვუთმობთ ისეთ სინტაქსურ ცვლილებებს, როგორიცაა: 1) ორი წინადადების დაყვანა ერთზე; 2) ერგატიულობასთან დაკავშირებული ცვლილებები; 3) სიტყვათა წყობის ცვლა და 4) ცვლილებები, რომელთა შედეგადაც იქმნება რთული (ორწინადადებიანი) სტრუქტურები.

ამჟამად ახალ წიგნზე ვმუშაობ. ეს გახლავთ „ენდოკლიზი და უდიური ენის მორფოსინტაქსის საფუძვლები". წიგნი ძირითადად დამთავრებულია, მაგრამ უდიურის მორფოლოგიისა და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი დაზუსტებას მოითხოვდა. ამიტომაც ჩამოვედი საქართველოში, რათა მემუშავა ინფორმანტებთან თბილისსა და კახეთში, სოფ. ოქტომბერიანში, სადაც უდები ცხოვრობენ. წიგნში აღწერილი მაქვს პირისა და რიცხვის ნიშნების განაწილება სხვადასხვა პოზიციაში, მათ შორის – ზმნის შიგნითაც. განხილული მაქვს აგრეთვე ამ განსხვავებული პოზიციების ისტორიული საფუძვლები.

**– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენი ბოლო წიგნი დაჯილდოვდა სახელგანთქმული ენათმეცნიერის ბლუმფილდის სახელობის პრემიით. როგორ ხდება ამ პრემიის მინიჭება ან როგორ გადმოგეცათ იგი?**

– გამოჩენილი ამერიკელი ენათმეცნიერის, ლეონარდ ბლუმფილდის ჯილდო დაწესებულია ამერიკის ენათმეცნიერო საზოგადოების მიერ (LSA). ამ პრემიით ორ წელიწადში ერთხელ ჯილდოვდება ის წიგნი, რომელსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ენის ჩვენეულ გაგებაში. გამომცემლები წარადგენენ წიგნებს, ხოლო ამ საზოგადოების წევრებისაგან შემდგარი კომიტეტი (საბჭო) არჩევს მათ შორის საუკეთესოს. ეს ჯილდო გადმომეცა საზოგადოების წლიურ შეკრებაზე 1998 წლის იანვარში, ქ. ნიუ-იორკში.

**– როგორი მდგომარეობაა ამჟამად კავკასიოლოგიის კვლევის მხრივ ამერიკის შეერთებულ შტატებში.**

– აშშ-ში ჩამოვაყალიბეთ ჯგუფი- კავკასიოლოგიური კვლევის საზოგადოება. მისი წევრების უმრავლესობა გახლავთ ენათმეცნიერები და ისტორიკოსები, თუმცა მასში შედიან ლიტერატორებიც, ეკლესიის ისტორიის, ანთროპოლოგიისა თუ სხვა დარგების წარმომადგენლებიც. მართალია, ეს ჯგუფი შედარებით პატარაა, მაგრამ ორ წელიწადში ერთხელ ვიკრიბებით ჩიკაგოს უნივერსიტეტში და ყოველწლიურად გამოვცემთ ბიულეტენსა და ჟურნალს.

ზოგიერთი ამერიკელი ენათმეცნიერი ევროპელ კავკასიოლოგთა საზოგადოების (SCE) წევრიცაა. ამ საზოგადოებაში ძირითადად ენათმეცნიერები შედიან. ეს საზოგადოებაც ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება ევროპისა თუ კავკასიის ცენტრებში.

სამწუხაროდ, ქართველოლოგია-კავკასიოლოგიაში დასპეციალებულ ახალგაზრდა მკვლევართა რიცხვი ჯერჯერობით ძალზე მცირეა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მეტნაკლებად ცნობილი სპეციალისტები, პროფ. დი ენ ჰოლისკისა და ჩემი ჩათვლით, ისეთ პატარა უნივერსიტეტებში ვმუშაობთ, რომლებშიც საენათმეცნიერო კვლევა და სწავლება თითქმის არ მიმდინარეობს ან მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა დარგებს. მეორე მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჩვენში არ არსებობს ქართველურ თუ კავკასიურ ენათა კათედრები, როგორიცაა, მაგალითად, სომხურისა და სხვა ენებში.

**– წელს იუნესკოს ეგიდით აღინიშნება არნ. ჩიქობავას იუბილე. ხომ არ გაიხსენებთ თქვენს შეხვედრებს ბატონ არნოლდთან.**

– ბატონ არნოლდთან, სამწუხაროდ, ერთადერთხელ მქონდა ბედნიერება შეხვედრისა, ისიც – ოფიციალურ გარემოში. ეს კი არ კმარა ცოცხალი მოგონებისთვის. მისი ხსოვნისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად ჩემს ქართველ კოლეგებს დავუტოვე თეზისები საიუბილეო კონფერენციისათვის. ძალიან მიხარია, რომ ამ დიდი მეცნიერის დაბადების 100 წლისთავს იუნესკო აღნიშნავს – სავსებით სამართლიანად!

ზეთინო ზარიძე

# „ჴელით მონისა არსუკის ძისა"

არსუკის ძე, ხუროთმოძღვარი სვეტიცხოვლისა, თავისი ნაგებობის ორივე წარწერაშია ნახსენები. პირველში მისი სახელი ტრადიციულ საამშენებლო ფორმულაშია ჩასმული და ასე იკითხება: „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, ამენ. აღეშენა ესე ეკლესიაჲ ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკის ძისაჲთა. ღმერთმან განუსუენე სულსა მისსა" (ვ. ბერიძე „ძველი ქართველი ოსტატები", 1967 წ. გვ. 28).

ეს წარწერა ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზეა. შუა თაღის ოვალში მარაოსავით გაშლილი ორნამენტის მედალიონებშია გადანაწილებული და კედლის საერთო მორთულობას ისე მშვიდად ერწყმის, რომ დაუკვირვებლად ძნელად თუ შეამჩნევს თვალი.

ამ მხრივ უფრო ცხადია მეორე წარწერა, რომელიც ხელისა და გონიოს რელიეფურ კომპოზიციას ახლავს, მაგრამ ფორმითა და შინაარსით კი პირველზე ბევრად მეტ საფიქრალს უჩენს მნახველს.

ეს წარწერა ტაძრის ჩრდილო ფასადზეა, ასევე მთავარი სარკმლის ზემოთ და შუა თაღით მორკალული კედლის სიბრტყეში ერთი შეხედვით თითქოს არაფერს უკავშირდება, მაგრამ როცა მის ადგილსა და მიმართებას ვაკვირდებით ამ ფონისადმი, უფრო პირიქითაც კი გვეჩვენება: კომპოზიციაში გონიო ისე უპყრია მარჯვენას, რომ იგი ქვევითკენ თანაბრად გაშლილი მხრებით თაღთან შეხვედრამდე თვითონ ამთავრებს სიმაღლისაკენ დაძრული კედლის დინამიკას, როგორც მისი სწრაფვის უკანასკნელი ზღვარი და ლოგიკური აქცენტი. რელიეფის ასეთ მიმართებას თავისი ფონისადმი, ცხადია, რაღაც სათქმელი უნდა ჰქონოდა ტაძრის სტრუქტურაში, მაგრამ რა, ახლა ძნელი ასახსნელი ჩანს, თუნდაც იმიტომ, რომ ტაძრის ამ პროფილმა პირვანდელი სახით ვერ მოაღწია ჩვენამდე.



ამ სირთულეს ცხადყოფს რელიეფის წარწერაც: „კლი მონისა არსუკის ძისაჲ, შეუნდეთ". (იქვე) აღარც კათალიკოსი, ან სხვა ვინმე ინიციატორი მშენებლობისა, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე საამშენებლო წარწერებში და რაც პირველში ზედმიწევნით არის გაკეთებული. მხოლოდ მარჯვენა გონიოთი და აღნიშვნა იმისა, რომ იგი არსუკის ძისაა, მაგრამ ნუთუ მართლაც ვინმეს კონკრეტულ მარჯვენაზეა აქ ლაპარაკი და არა რაღაც უფრო მნიშვნელოვანზე?

საამშენებლო წარწერები ნაგებობათა დამთავრებისთანავე კეთდებოდა ხოლმე, როცა შენობა ჯერ კიდევ ხარაჩოებში იდგა. ამდენად, სვეტიცხოვლის ეს ორივე წარწერა, თითქმის ერთსა და იმავე სიმაღლეზეც რომ არის სხვადასხვა ფასადებზე, ერთდროულად უნდა იყოს შესრულებული. ამიტომ თუ განსხვავებულს არაფერს ამბობდა, განა რისთვის უნდა გაემეორებინათ მშენებლებს ტაძრის ერთ ფასადზე უკვე უნაკლოდ თქმული მეორეზე და თანაც ასეთი არატრადიციული საშუალებით?

ეს გარემოება, როგორც ჩანს, მარტო ახლა კი არა, იმთავითვე ტაძრის წარსულის გამოცანად ქცეულა ხალხში. ამის დასტურია თუნდაც ის პატარა, ოთხსტრიქონიანი ლექსი, რომელშიც სვეტიცხოვლის კარგად მშენებლისადმი გაუგონარი უმადურობის გამოჩენაზეა ლაპარაკი:

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი აგიგია!".

სვეტიცხოვლის ამ რელიეფისა და მისი წარწერის ასე წაკითხვას, ბუნებრივია, აქვს თავის მომხიბვლელობა: პოეტური სულის რომელიღაც ჩვენს წინაპარს თვალში მოხვედრია რელიეფი, დაკვირვებია და ტკივილით ჩაუმარცვლავს მისი მინაწერი, რადგან პირდაპირ გაუგია იგი და ამით შეძრულს ასეთი სიტყვა დაუგდია ხალხში, მაგრამ განა ჩვენთვისაც მართლა უმადლოდ განწირული ოსტატის დაღლილი მარჯვენაა აქ გამოკვეთილი? მაშინ უეჭველი ახლა ხომ მხოლოდ ის არის, რომ ეს რელიეფი თავისი წარწერით თავიდანვე თურმე დიდ საფიქრალს უჩენდა მნახველს: მაშ, რა უნდა იყოს მისი სათქმელი და სად შეიძლება ვეძიოთ მისი პასუხი?

გამოთქმულია ფრთხილი ვარაუდი, რომ მასში უფლის მარჯვენა უნდა იგულისხმებოდეს (რ. სირაძე „ქრისტიანული კულტურა და მწერლობა", I, 1992 წ. გვ. 111), რაც ძეგლის სიმბოლიკური კონტექსტით მოსალოდნელია, მაგრამ დასაშვებია სხვა ახსნაც; კერძოდ: შესაძლოა იგი თავად ამ წარწერათა შემოქმედის მიზანი და ძველი ქართული კულტურის ზოგმა სხვა საგულისხმო მინიშნებებმაც გვაპოვნინოს; ვცადოთ რა გამოგვივა.

დავიწყოთ იმით, რომ წარწერაში „კლი" მიუხედავად იმისა, რომ იგი მართლაც ხელის რელიეფს ახლავს, არაფრით არ უნდა იყოს თავისი პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარი. ეს რომ ასეა და არა სხვანაირად, უდავოა თუნდაც იმით, რომ რელიეფზე მხოლოდ ხელი კი არ არის გამოკვეთილი ყველაფრისაგან იზოლირებულად, არამედ ხელი რომელსაც მშენებლობის სიმბოლო-გონიო უპყრია. ეს კი უკვე კომპოზიციაა და თავის სათქმელსაც სწორედ ამ მთლიანობას უნდა ანდობდეს ავტორი და არა მის რომელიმე კომპონენტს.

გარდა ამისა და ესაა არსებითად მთავარი, მსგავს ძველ ქართულ ტექსტებში „კლი" უპირატესად ხელობას, პროფესიულ საქმიანობას აღნიშნავდა. მაგ.: ყველასათვის ცნობილ რუსთველურ სტრიქონში „მე რუსთველი ხელობითა"... ხელობა მკვლევა-

რთა უმრავლესობას სწორედ ისე აქვს ახსნილი. ხელობით რუსთველი საქმით, მოღვაწეობით რუსთველს გულისხმობს, თითქმის ერთხმად ადასტურებენ ისინი. მაგრამ ამაში თუ მაინც საქმიანისა და დამაჯერებელ საბუთს ვერ იპოვის ვინმე, რადგან თავად რუსთველობაა ზოგჯერ სხვადასხვანაირად გაგებული. **ავგაროზ ბანდაის ძის** ანდერძს ველარსად წაუვა, რადგან მასში „კელი" ათჯერაა დასახელებული და ათივეჯერ მხოლოდ და მხოლოდ ხელობის, პროფესიის მნიშვნელობით.

**ავგაროზი** XIV საუკუნის მოღვაწე იყო; ლარგველი ბერი. ჩვენი ქვეყნისათვის ამ უმძიმეს დროში ბევრი რამ გაუკეთებია ერის ხელოვნებისა და ვინაობის გადასარჩენად და ამის შესაბამისად საკუთარი სახელის არდავიწყებისათვისაც გარჯილა ცოტას. „წყალობითა ღმრთისათაჲ, – წერს იგი ერთ-ერთ ხელნაწერის ანდერძ-მინაწერში, – მომეცა თვინიერ მოძღურისა კელოვნებაჲ ესევითარი: პირველი კელი სწავაჲ ხუცობისაჲ, კელი მეორე-მწიგნობრობისაჲ, ხელი მესამე – სწავაჲ ხუცურისაჲ, კელი მეოთხე – შექმნაჲ ეტრატისაჲ, კელი მეხუთე – შეკრვაჲ წიგნისაჲ, კელი მეექუსე – მხატვრობისაჲ, კელი მეშვიდე – მკერვალობაჲ, კელი მერვე – ტყავის კრვაჲ; კელი მეცხრე – კურთხევებისაჲ, კელი მეათე – მსოფლიო მუშაობისაჲ". (ძვ.ქართვ. ოსტატები, გვ 15).

ამ ჩამონათვალიდან „მსოფლიო მუშაობას", ანუ ბარვა-თოხნისა და ბაღ-ვენახების მოვლა-მოშენებას ახლა თუ ვინმე ხელობად ვეღარ მიიჩნევს და იტყვის, ეს ხომ ყველა ქართველის სახელ-ხორციელი საქმე იყო, რადგან ამით გვედგა სული. -საკორკოტოსა და უცნაურს ვერაფერს მოუძებნის. მაგ. ეტრატის შექმნას, წიგნის შეკვრას, ტყავის კრვასა და ხუროვნებას, რადგან ისინი დღევანდელი გაგებითაც წმინდა ხელობანია და ავგაროზიც თავისი დროის „კვალობაზე მათ „კელს", ანუ ხელობას უწოდებს.

„კელის" ასეთ გაგებას ძველ ქართულში კიდევ ერთი საგულისხმო ნიუანსიც ჰქონია, კერძოდ, იგი თურმე ოსტატის ინდივიდუალურ შესაძლებლობასაც ნიშნავდა, მისი ნახელავის სხვისაგან გამორჩეულობასა და თავისებურებას. „ყველა ადამიანსო, აღნიშნავდა ამის შესახებ ი. ჯავახიშვილი, დაწერის თავისი განსაკუთრებული თვისებები აქვს, რომლითაც მისი დაწერილის სხვისი დაწერილისაგან გარჩევა შეიძლება. დამწერის ნამუშავრის ამგვარი თავისებურების აღსანიშნავად „კელი" იხმარებოდა" (იხ. თხ. ტ. IX, გვ. 58).

ი. ჯავახიშვილი, აქ მართალია, წერის ხელოვნებას ეხება, მაგრამ ამან არ უნდა დაგვაბრკოლოს სიტყვის განზოგადებაში თუნდაც მარტო იმიტომ, რომ წერა ავგაროზსაც ხელობებში აქვს ნაჩვენები და გარდა ამისა, განა ახლა კი იშვიათად ვიტყვით ხოლმე, ამა და ამ კაცს ასეთი და ასეთი ხელი აქვსო და ვგულისხმობთ სწორედ მის ინდივიდუალურ შესაძლებლობას ამა თუ იმ საქმეში, კერვს, ან ცულს.

მაშასადამე, უდავოა, რომ ძველ საქართველოში ყოველდღიურობას დაცილებულ სიტყვახმარებაში „კელი" სპეციფიკურ შინაარსს იძენდა და სვეტიცხოვლის რელიეფშიც, რადგან მასთან გონიოც არის დაკავშირებული, იგი ჩვეულებრივ ხელზე კი არა, არსუკის ძის პროფესიულ შესაძლებლობასა და ვინაობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ამდენად, „კელი მონისა არსუკის ძისაჲ", რომლის გამოც შენდობას ევედრებიან მნახველს წარწერისა და რელიეფის ავტორები, თავად სვეტიცხოველია, ვითარცა ნახელავი არსუკის ძისა და არა მისი კონკრეტული მარჯვენა.

მაგრამ ამ რელიეფისა და წარწერის თავიდათავი მიზანი, ცხადია, მაინც ამის თქმა არ უნდა ყოფილიყო; ან უნდა ყოფილიყო თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი ინფორმაცია, როგორც ითქვა კიდევ, ტაძრის პირველ წარწერას ევალებოდა, რასაც მისი ფორმულირების ტრადიციული ხასიათიც მოწმობს. ამ წარწერასა და რელიეფს კი თავისი სათქმელი უნდა ჰქონოდა, მაგრამ რა?

პირველთან მისი შეპირისპირება და ზევით აღნიშნული, გვიჩვენებს, რომ იგი თავისი მეტყველებით თითქოს რაღაც ნაწილს უნდა გვიცალკევებდეს ტაძრის აღნაგობაში როგორც მხოლოდ არსუკის ძის ხელშენახებს, მისი ნებითა და მეთვალყურეობით გაკეთებულს, არჩევდეს მას სხვათა ნაღვაწისაგან. მაგრამ რას? ვცადოთ ამის დასაბუთებაც.

ძველი ოსტატები ახლანდელი თვალსაზრისით მეტად უცნაური ბედისა და რწმენის შემოქმედნი იყვნენ. ხომ თვითონ აპროექტებდნენ ნაგებობებსა და ურჩევდნენ მათ შესაბამის სივრცეს.



თვითონვე აშენებდნენ და ამკობდნენ ორნამენტურითა თუ თემატური რელიეფებით, საავტორო წარწერებში მაინც მხოლოდ იმას იტოვებდნენ თავისად, რომ ამ საქმეში მარტო ხელი იყო მათი, დანარჩენი კი ღვთაებრივ შთაგონებასა და სასულიერო იერარქებს მიეწერებოდათ. მაგ. **საკოცარი**, X საუკუნის ოსტატი, რომელსაც საოცარი კუმურდო ისე აუგია, რომ მის პერანგში ქვათა ფერადოვანი ამეტყველებაც კი მოუხერხებია, წარწერაში ასე უბრალოდ წარმოგვიდგება: „იოვანე ეპისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისაჲ კელითა ჩემ ცოდვილისა საკოცარისაჲთა" (ძვ. ქართვ. ოსტატები, გვ. 202). ამას, ბუნებრივია, ისტორიის უმადურობას, ან პიროვნებათა დაუფასებლობას ვერ მივაწერთ. სტილი იყო ასეთი. წინა პლანზე სასულიერო იერარქი უნდა მდგარიყო, როგორც ინიციატორი ღვთის საყდრისა, თორემ როგორ უნდა შესხმოდა ხორცი, ნაგებობას, ეს ცხადია, ოსტატის ხელთა რჩებოდა. ისინი კი მართლაც სულსა და გულს სდებდნენ თავიანთ ნაღვაწში და მიუხედავად ქრისტიანული მორალისა, საკოცარისაგან განსხვავებით, ხშირად ამას ვერც მალავენ, თავ-თავისი სახელით ითხოვენ შენდობასა და დაფასებას გაწეული საქმიანობისათვის. მაგ. „მე თოდოსა"– ვარო, VII საუკუნიდან მოდის ჩვენამდე დაუწყების ძირიდან შეკიდებული ოსტატის ხმა. „მე გრიგოლ" და „მე თედორე"– X-დან, „მე ბავრელი" და „მე კვირიკე" XI-დან...; ზოგ წარწერაში ეს მე ოდნავ უკან არის დაწეული და უფრო განკრძალულია, მაგრამ ოსტატი გულს მაინც ვერ ერევა და თავისი სახელის ხსოვნას ასე შემოგვინახავს: „ადიდენ კელითა ჩემ ცოდვილისა საკოცარისაჲთა", „კელითა ჩემ გლახაკისა სამთავნელისა"; გვხვდება შედარებით მკვეთრი და პირდაპირი ნათქვამებიც: მაგ. „აღეშენე საყდარი ესე".

„არა ვეც ძილი თუალთა ჩემთა" და აი, ასე თითქმის დაუსრულებლად. ისინი მცირე გამონაკლისის გარდა თავ-თავისი სახელებით ითხოვენ შენდობას: „ქელი მონისა არსუკის ძისაჲ, შეუნდვენ" კი აშკარად გვიჩვენებს, რომ აქედან თავად ოსტატის ხმა არ ისმის, მის შენდობას სხვანი გვთხოვენ. რატომ?

სპეციალურ ლიტერატურაში პირველი წარწერის მიხედვით ნავარაუდევია, რომ არსუკის ძე თავისი ტაძრის დამთავრებას ვერ უნდა მოსწრებოდა, მანამ უნდა გარდაცვლილიყო, სანამ იგი საბოლოო სახეს მიიღებდა. ეს მართლაც უეჭველი ჩანს, რადგან აღნიშნული წარწერა ასე მთავრდება: „ღმერთმან განუსუენე სულსა მისსა". აქ იგი წარსულში იგულისხმება და ცხადია, რომ მართლაც წარწერის გაკეთებამდევე ჩამოცილებია თავის საქმეს, მაგრამ ჩნდება კითხვაც: რადგან ასე მომხდარა, მშენებლებმა ნაგებობაზე ისიც ხომ არ აღნიშნეს სადმე, თუ სადამდე მიჰყვა მისი ხელი ტაძარს? სავარაუდოა, რომ სწორედ ამას უნდა ლაღადებდეს მეორე წარწერა და აი რატომ: კომპოზიციაში გონიო, როგორც ითქვა, ქვევითკენ თანაბრად გაშლილი მხრებით დამაგვირგვინებელ აკროდად ადგას გუმბათისაკენ ტაძრული კედლის სიმაღლეს და აქეთ-იქით კი მსხვილი ასომთავრული აწერია, რომ ყოველივე ის, რასაც მარუვენისა და გონიოს კომპოზიცია ამთავრებს, აი, ეს არისო „ქელი მონისა არსუკის ძისა". ამაზე ცხადად როგორღა შეიძლებოდა ამის თქმა?



მაგრამ ამ სიცხადის მიუხედავად ეს მაინც ვარაუდია, ეგების ლოგიკურიც. მაგრამ მაინც ვარაუდი და ასეთად დარჩება კიდეც, თუ რაღაც ამის მსგავსს სხვასაც ვერ მივაგნებთ წარსულში. ასეთი კი ჯერჯერობით მხოლოდ ჰაგიოგრაფიაში ჩანს, მაგრამ მაინც საყურადღებო უნდა იყოს იმიტომ, რომ იგი მხატვრულ სიტყვას კი არა, სწორედ არქიტექტურას ეხება. მხედველობაში გვაქვს სვეტიცხოველზე ადრინდელი ძეგლი „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება".

ზარზმა, როგორც მოთხრობილია ამ ძეგლში, თავად სერაპიონს რომ დაუპროექტებია, სოფელ ძარღუადან მოსული კაცის წარსაგებლით დაუწყიათ. საკმაოდ უცნაურად მომხდარა ამ კაცის შემონაზვნება. იგი საერო ცხოვრებაშიც ფრიად საჭირო და საქმიანი ყოფილა და ამის გამო პატრონი თურმე ვერ ელეოდა მას. ბოლოს კი, როცა საწადელს ეწია და თავისი წარსაგებლით მაინც დამკვიდრდა ზარზმაში, ჩანს, ვითარცა თადარიგიანს, ეკლესიის მშენებლობაში თავისი მიტანილის ხარჯვა თვით მასვე მიანდეს. იგი გულწრფელად დამაშვრალა ამ საქმეში და მშენებლებსაც არ დაუკარგავთ მისთვის რა დამსახურებაც ჰქონდა ტაძრის წინაშე: სადამდეც მიჰყოლია მისი ხარჯი და სიცოცხლე ნაგებობას, სწორედ იქ ჩაუსვამთ კედელში მისი რელიეფი ასეთი წარწერით: „აქა დაილია საფასე ჩემი, სადა ესერა მლგომარე ვარ და მიტეირთავს ჯუარი ქრისტესი" (ქართ. პროზ. ტ.I, გვ. 366).

ტაძარი ამ დროს აგებული ყოფილა „შეთაოთური ვიდრე სარკუმელთამდე" (იქვე); მაშასადამე, ეს საგანგებო შემთხვევად მიუჩნევიათ ტაძრის მშენებლობაში და ამიტომ მოქცეულან ასე, თორემ სულიერი მზრუნველი მშენებლობისა და ოსტატები ჩვეულებრივ იქ მოუხსენებიათ, სადაც უმეტესად აფიქსირებდნენ ხოლმე ასეთ პირებს: აღმოსავლეთის ფასადზე: „და იყო ვითარ გასრულდა სარკუმელთამდე, გამოხატეს თვით მიქაელიცა ორთა მათ თანა კალატოზთა ზედა სარკუმელსა აღმოსავლისასა", – წერს ბასილი (იქვე).

განა სვეტიცხოველზე ასე არ არის? მელქისედეკი და არსუკის ძე, როგორც უკვე ითქვა, ტრადიციული საამშენებლო ფორმულით აღმოსავლეთის ფასადზე არიან მოხსენიებულნი; „ქელი მონისა არსუკის ძისაჲ" კი თავისი რელიეფით ვითარცა საგანგებო შემთხვევის მაუწყებელი, სხვაგან, ჩრდილოეთის ფასადზე.

კიდევ რა გვაფიქრებინებს ამას, რომ ამ რელიეფითა და წარწერით ადრე გარდაცვლილი არსუკის ძის ღვაწლი და ხელი უნდა იყოს გამოყოფილი და დაკონკრეტებული ტაძრის საერთო აღნაგობაში?

ცნობილია, რომ სვეტიცხოველი იმ ეტაპს ეკუთვნის ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში, როცა ოსტატები შემოქმედებითი თვალსაზრისით აღარ კმაყოფილდებოდნენ ტაძართა მხოლოდ მონუმენტურობითა და სივრცეში ცხადად გამოკვეთილი სილუეტით. შორიდანვე რომ მოგტაცებდა მზერას, ახლა ნაგებობა ამ დისტანციაზე თავისი დეკორითაც უნდა ახმიანებულიყო (**Н.А. Аладашвили. Монументальная скульптура Грузии.** 1977 წ. გვ. 146).

რა ჰქონდა სვეტიცხოვლის ჩრდილო ფასადს მაშინ ამ პარტერიაში ჩართვისათვის, დღეს აღარა ჩანს, მაგრამ თუ მისი დასავლეთის ფასადით ვიმსჯელებთ, რომელიც პირვანდელი სახით არის მოღწეული, უნდა ვივარაუდოთ, რომ რაც იქ იყო, რამდენადმე მაინც უნდა ყოფილიყო ამ ფასადის მონუმენტურ კომპოზიციათა შესაბამისი. ტაძრის მძიმე თავგადასავალმა და უკუღმართმა ჟამმა, ჩანს, ბევრი რამ შეიწირა. ძირს დაცემისას გადარჩენილი კი რესტავრატორებს სხვა ფასადზე ჩაუსვამთ. მაგ. ფიქრობენ, ლომი და არწივი, ახლა აღმოსავლეთის ფასადზე რომ არიან უადგილოდ ჩაჭედილნი, ადრე სხვაგან უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ სად? ამჟამად ძნელია ამის თქმა, მაგრამ განა მოსალოდნელი არ არის, რომ ისინი თუ არა, რაღაც მათი მსგავსი და დასავლეთის ფასადის შესაბამისი, ჩრდილოეთის ფასადსაც ამკობდა? ეს თუ ასე იყო, მაშინ რელიეფსა და მის წარწერას, ახლა ეულად რომ შემორჩენია თავის სიმაღლეს, მაშინ მეტი კავშირი ექნებოდა საერთო მორკალულ ფასადთან და მათი აზრიც უფრო ცხადი იქნებოდა.

ეგების მათმა სინატიფემაც აღუძრა გარდაცვლილი ოსტატის საქმის გამგრძელებელთ სინანული, რომ არსუკის ძის მარჯვენა მეტად ველარ მიჰყვებოდა ნაგებობას და ტკივილით გამოაცალკევეს მისგან ნაღოლიავები აი ესაა „ქელი მონისა არსუკის ძისაჲ, შეუნდვენ".

ზევით კი გუმბათის ყელიღა რჩებოდა მხოლოდ.

მკითხველს ვთავაზობთ ჩვენი სახელოვანი მეცნიერის კორნელი კეკელიძის უცნობ წერილს. წერილი ეხება ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ქართული მეცნიერების ისტორიაში: ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დაარსებას. ინსტიტუტი დაარსდა მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 1942 წლის აპრილში. ამ ღონისძიებით შე- წყვიტა არსებობა 30-იან წლებში უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილმა ენის, ლიტერატურის, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა ელხი -მ. ბუნებმიდე იყო. ამ ინსტიტუტის შექმნას, ამ დიდ საზოგადოებრივ აქტს, სათავეში ჩაუდგა სწორედ კორნელი კეკელიძე. წერილში მოხსენიებულნი არიან მაშინ ახალგაზრდა, დღეს კი აღიარებული ქართველი მეცნიერები.

წერილის ადრესატია სიმონ ჯანაშია. მამის არქივშიც ინახება აღნიშნული დოკუმენტი.

რუსუდან ჯანაშია

# კორნელი კეკელიძის უცნობი წერილი

დიდად პატივცემულო
ბ. სიმონ!

მაპატიეთ, რომ ვარღვევ თქვენს სააგარაკო მყუდროებას[1]. მაიძულებს ეს ჩამედინა. მთავრობაში უკვე დაამტკიცეს განსახკომის მოხსენება ჩვენი ინსტიტუტის ლიკვიდაციის შესახებ[2]. განსახკომმა 7 ამ თვეს სისრულეში მოიყვანა კიდევაც ეს დადგენილება. აკადემიაში, გუშინ თათბირზე პრეზიდენტის[3] თავმჯდომარეობით, გადაწყვიტეს ხუთშაბათს, 13 ამ თვეს, მოიწვიონ პრეზიდიუმის სხდომა ახალი ინსტიტუტის გასაფორმებლად. თქვენ გეხსომებათ, რომ, თქვენი აქედან წამოსვლის წინ, ჩვენ შევთანხმდით, რომ ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა შერჩევა მოგვეხდინა თქვენი დაბრუნების შემდეგ, თქვენივე მონაწილეობით. ეს გარემოება მე გავაცანი პრეზიდენტს და ვთხოვე მეცნიერული პერსონალის შერჩევა-დამტკიცება გადაგვედვა. მაგრამ საფინანსო განყოფილებასთან თათბირმა გამოარკვია, რომ ეს შეუძლებელი ყოფილა. სხვას რომ ყველაფერს დავანებოთ თავი (ხელფასისა და სალიკვიდაციოს გაცემა), იმიტომაც, რომ ფინანსთა კომისარიატში ახალი ინსტიტუტის ბიუჯეტსა და საშტატო ერთეულებს არ დაამტკიცებენ, თუ ახალ თანამშრომელთა სახელობრივი სია არ იქნა წარდგენილი.

შექმნილმა მდგომარეობამ, ერთის მხრით, და ჩემმა დაჟინებითმა მოთხოვნამ, რომ უთქვენოდ ეს საქმე არ გადაწყვეტილიყო, მეორე მხრით, გვაიძულა გამოგვეგზავნა თქვენთვის საგანგებოდ კაცი და თან პროექტი მომავალი თანამშრომლებისა. ჩემი თხოვნა იქნებოდა თქვენდამი – გადახედოთ თანდართულ სიას და თუ ვინმეს ან რამეს საწინააღმდეგო რამ გექნებოდათ, მაცნობით ამ კაცის ხელითვე შესაფერი შესწორებების შეტანის მიზნით. თქვენთან უკვე მქონდა შეთანხმება, რომ განყოფილებების გამგებად იქნებიან ფოლკლორში პროფ. კ. დონდუა და ახალ ლიტერატურაში პროფ. ა. ბარამიძე. ძველი ლიტერატურის განყოფილების გამგებლობა დაეკისრება დირექტორს. სწავლულ მდივნად, გ. იმედაშვილის მაგიერ, ვფიქრობ აგვეყვანა დოც. გრიგოლ კიკნაძე (ახალ ქართულ ლიტერ. მუშაობს), სერიოზული და კეთილსინდისიერი მუშაკი. მინდოდა ამეყვანა ვინმე პარტიული, მაგრამ ერთმა ასეთმა, რომლის აყვანა შეიძლებოდა, კატეგორიული უარი განმიცხადა, სხვა კი თანდართულ სიიდან ასეთი არ აღმოჩნდა.

რაც შეეხება სხვა თანამშრომლებს, გეზი მეჭირა იქითკენ, რომ შეძლებისამებრ მთლიან განაკვეთზე მყოლოდა ესა თუ ის პირი, მაგრამ ამ პრინციპის გატარება მოგვცემდა ხუთ კაცს მხოლოდ ინსტიტუტში, ხუთკაციანი ინსტიტუტი კი რაღაც არაჩვეულებრივი გამოვიდოდა. ამიტომ მივმართე ნახევარგანაკვეთიან სისტემას, რომელიც ძველს ინსტიტუტში გვქონდა. ძველი შემადგენლობიდან გადის მთლიანად სამი კაცი: ორი მექანიკურად, შესაფერისი განყოფილების უქონლობის გამო. გ. იმედაშვილს, რომელსაც მდივნობა ჩამოერთმევა, ვტოვებ ნახევარ განაკვეთზე, როგორც მეცნიერ მუშაკს. მეცნიერი მუშაობა მას ეხერხება და შეუძლია, თუ მოინდომა. ამას ადასტურებს მისი გამოქვეყნებული შრომების გარდა, ის თემატიკური სამუშაოც, რომელიც მან წელს შეასრულა ინსტიტუტში. ეს შრომა ეხლა იბეჭდება. მეორე პირი, რომლის შესახებ თქვენ უკვე გქონდათ ჩემთან ლაპარაკი, არის დოც. ტ. რუხაძე: როგორც მაშინ მოგახსენეთ, მისი გამოქვეყნებული შრო-

მები, აგრეთვე მუყაითობა და კეთილსინდისიერება. აგრეთვე ის მოსაზრება, რომ ის ზრდის პროცესშია, ვფიქრობ, შესაძლებლად ხდის, რომ ისიც ნახევარ განაკვეთზე ვიყოლიოთ თანამშრომელთა შორის. სხვების წინააღმდეგ ძველი შემადგენლობიდან არაფერი გვეთქმის. გულდამშვიდებით შეგვიძლია მათი აყვანა. განზრახულია სამი ახალი პირის მოწვევა. ასეთია, პირველ ყოვლისა, დოც. შ. რადიანი (მას სადოქტორო დისერტაცია უკვე დაწერილი აქვს), რომლის აყვანის აუცილებლობაში ჩვენ შეთანხმებული ვართ. ვფიქრობდი, ის მთლიან განაკვეთზე ამეყვანა, მაგრამ იმდენად დატვირთულია რთული საზოგადოებრივი მუშაობით, რომ რვა საათს დღეში ინსტიტუტს ის ვერას შემთხვევაში ვერ მისცემს. ამიტომ იძულებული ვარ ისიც ნახევარ განაკვეთზე მოვიწვიო. ეს იმითაც იქნება გამართლებული, რომ მეორე ნახევარზე შეძლება გვექნება მოვიწვიოთ ზედმეტი პირი ახალ ქართულ ლიტერატურაში, რაც განსაკუთრებული საზრუნავი საქმეა. ასეთ პირად მე მიმაჩნია დოც. გ. აბზიანიძე, რომელიც უკვე ცნობილია თავისი მეცნიერული პროდუქციით. ჩვენს პირობებში უმჯობესს, ახალგაზრდათა შორის, ჯერჯერობით ვერ ვპოულობთ. დასასრულ, ერთი პირი, რომლის მოწვევა მე პირადად და სხვებსაც, ვინც მას იცნობს, საჭიროდ მიგვაჩნია. ეს არის თ. ჭყონია, რომელმაც ივნისში ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია. ის ჩემი ასპირანტი იყო, მე ვუწევდი ხელმძღვანელობას და კარგად ვიცნობ მას. უდავო ნიჭის პატრონი, ფართო ერუდიციის მქონე, ენების მცოდნე, ვფიქრობ, ინსტიტუტს არ შეარცხვენს. ეს თან პარტიულიცაა, ამიტომ მაგას მდივნადაც ავიყვანდი, რომ სრულიად ახალდამწყები არ იყოს. შემდეგში, როდესაც ის თავის ფიზიონომიას გამოაჩენს და

ხალხი იმას გაიცნობს, შესაძლებელი იქნება მისი გამდივნება, თუ გრ. კიკნაძე გვთხოვს განთავისუფლებას (მაინცდამაინც დიდი სურვილი მდივნობისა მას არ ეტყობა). ასეთია ჩემი პროექტი ახალი ინსტიტუტის თანამშრომლებისა. თუ თქვენ რომელიმე მათგანის წინააღმდეგი გექნებათ რამე (ამ ცნობების შემდეგ), ასეთი ამოვარდება სიიდან და სამაგიეროდ რომელიმე დარჩენილთაგანი ნახევარი განაკვეთის მაგიერ მთელზე გადავა; ეს იმიტომ, რომ ჩვენს სინამდვილეში სხვა ვინმესი გამოძებნა არ ხერხდება. საბოლოოდ ინსტიტუტი მიიღებს შემდეგს სახეს (იხ. სქემა – რედ.).

მოლაპარაკება გაიმართა პროფ. შ. ამირანაშვილთან მუზეუმის შენობებში ინსტიტუტისათვის ბინის დათმობის შესახებ. მისი აზრით, ეს შესაძლებელია, თუ აკად. გ. ჩუბინაშვილს დავითანხმებთ, ის კი ამთავად აქ არ არის.

პატივისცემით კ. კეკელიძე

P.S. პასუხს ამის მომტანსვე გამოატანეთ.

1942. VIII. 11.

ინსტიტუტის სამეცნიერო შტატი და შემადგენლობა:

| | | სამეცნ. ხარისხი | უფროსი თუ უმცროსი | განაკვეთი | პარტიულობა |
|---|---|---|---|---|---|
| | **ძველი ქართული ლიტერატურა** | | | | |
| | განყოფილების გამგე-დირექტორი | | | | |
| 1. | ყუბანეიშვილი სოლომონ | კანდ. დოც. | უფროსი | 1/2 | უპარტ. |
| 2. | იმედაშვილი გაიოზ | კანდ. | უფროსი | 1/2 | უპარტ. |
| 3. | რუხაძე ტრიფონ | კანდ. დოც. | უფროსი | 1/2 | პარტ. |
| 4. | ჭყონია თორნიკე | კანდ. | უფროსი | 1/2 | პარტ. |
| | **ახალი ქართული ლიტერატურა** | | | | |
| | განყოფილების გამგე- პროფ. ა. ბარამიძე | | | | |
| 1. | რადიანი შალვა | კანდ. დოც. | უფროსი | 1/2 | პარტ. |
| 2. | ჭილაია სერგი | კანდ. დოც. | უფროსი | 1/2 | პარტ. |
| 3. | აბზიანიძე გიორგი (საკანდ. შრომა მზად აქვს) | დოც. | უფროსი | 1/2 | პარტ. |
| 4. | კიკნაძე გრიგოლ (იგივე სწავლული მდივანი) | კანდ. დოც. | უფროსი | 1 | უპარტ. |
| | **ქართული ფოლკლორი** | | | | |
| | განყოფილების გამგე- პროფ. ძ. დონდუა | | | | |
| 1. | სიხარულიძე ქსენია | კანდ. დოც. | უფროსი | 1 | უპარტ. |
| 2. | ჩიქოვანი მიხეილ | კანდ. დოც. | უფროსი | 1/2 | პარტ. |
| | | | | 6 | |

კომენტარები

1. წერილი მიწერილია მცხეთაში, სადაც იმჟამად იმყოფებოდა ს. ჯანაშია, როგორც საველე არქეოლოგიური სამუშაოების ხელმძღვანელი.
2. როგორც ჩანს, ლაპარაკია ელხის თაობაზე.
3. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკ. მუსხელიშვილი.

# ქართული სიტყვის მოჭაშნიკე

ქართული სიტყვის მოჭაშნიკეთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს **გიორგი ლეონიძეს**. ქართულ სიტყვასთან პოეტის დამოკიდებულება ყველაზე მეტად მის ამ სტრიქონებში მოჩანს:

„ვით მეთავთავე ქალები პკრეფენ,
ყანის ნამკალში პურის თავთავებს,
ისე ვკრეფ ხალხში სიტყვის ნაფლეთებს
და, ალბათ, დიდხანს ვერ მოვათავებ".

გიორგი ლეონიძე და ქართული სიტყვა – ეს ვრცელი თემაა. ახლა ამას ვერ შევეხებით, მაგრამ მინდა მკითხველს ვესაუბრო პოეტის ერთ უბის წიგნაკზე, რომელშიც 1946 წელს სამცხე-ჯავახეთში შეკრებილი სალექსიკონო მასალებია ჩაწერილი.

უბის წიგნაკის თავფურცელზე წარწერაა „ჯავახეთი" და იქვე დასახელებულია [illegible] მელიქიძე და ვახო მჭედლიშვილი, ვისაც ჩაუწერია პოეტს ეს სიტყვები.

პირველი სიტყვა, რომელიც უბის წიგნაკში წერია, **ჭოჭონიკაა** და განმარტებულია, როგორც ურმის დანდალი. იქვე ახსნილია ქართული ურმის სხვა ნაწილებიც: **თარი, ყვერი, კონკილა, ასაკრავი, ბასხი** და სხვა. მოტანილია მხოლოდ **ბასხისა** და **ასაკრავის** განმარტებები: „ქვერნების შუა ურმის უბეზე (და მხარეზე) დაკრული ხის ნაჭერი". ასაკრავი – „ორი დაგრეხილი ტყავის შოლტი, რომლითაც უღელს ამაგრებენ ურმის თავზე".

აქვე მოტანილია ბალახოვანი მცენარეების სახელები: თერო, მანიტა, კოვზიხილა, კვლავი, ამუტარაკი, წიწილწვევა, ჭყავისსაგუდა და სხვები.

საყურადღებოა პოეტის მიერ ფიქსირებული თითოეული სიტყვა, მაგრამ დარგობრივი ლექსიკის ნიმუშებიდან მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმე სიტყვის ლეონიძისეულ განმარტებას: **„ცანდი** – რკალი ან თოკი, რომელშიაც გაივლის მთელი გუთნის ჯაჭვი, გამაგრებულია გუთნის შოლტკავზე". **„ბეწვა** – გათლილი ხე, რომლითაც მაგრდება მარხილის მოკაუჭებული ნაწილის ძირზე" (აქვე დახატულია პოეტის ხელით). **„მოსასაქრი** – ბუხრის მოსაფარებელი, რომელიც იკავებს ბოლს ქარისაგან, წააგავს არნადს, რომელიც ჩამაგრებულია ბუხარში." **„თოხმახი** – მარილის სანაყაო თოხისა". **„ლულუკი"** – ლულა, რომელიც აერთებს საარყე ქვაბს და გასაცივებელ მილს". **„ფარგაზი"**– გამაგრებულ ნახევარკარის გარედან მიკრული რეიკა რომ აქვს". **„ლიშხი"**– სახლის სინოტივე". ამბობენ „სახლი დაილიშხაო", როცა ნოტიო გამოვა კედლებზე". **„ხეჩარკეტი** – სწორე ხე, რომელსაც ბოლოში აქვს რკალი. ამ ხით ურევენ ფურნეში ცეცხლს". **„ქვიშტარა** – სალაშინის მაგვარი იარაღია".

ამრიგად, ჯავახეთში პოეტს ჩაუწერია და განუმარტავს სულ 190 სიტყვა. შემდეგ მოსდევს ახალციხეში შეკრებილი სიტყვები, მოვიტანთ აქედანაც რამდენიმე სიტყვას და პოეტისეულ განმარტებას: **„ხეჭარელა** – ხეა ერთგვარი, იზრდება წვრილად, აქვს შავი კანი, თეთრწერტილიანი. ხმარობენ მენახირეები „კომბალად". **„აყუყებული** – ხალხის რწმენით, ახალი ზოგი მკვდარი საფლავიდან ადგება სუდარით, მივა ვისთანმე და დაახრჩობს. ასეთ მკვდარს ეძახიან აყუყებულს". **„ხარო** – ბეღლის თითოეული ნაწილი, სხვადასხვა ხაროში იყრება სიმინდი, ქერი და სხვ." **„გასაყარი**– ჭერის კოჭებს შუა შიგნიდან დარჩომილი ადგილი, სადაც ათას წვრილმანს ინახავენ". **„თავკაპი** – ხარის დასაბმელი რკალის თასმა, რომლითაც რკალი იკეტება". **„კაპრაში** – წნელი, რომელიც დაგრეხის დროს ტყდება და არ იგრიხება. ხმარობენ აგრეთვე ყველა ჯიშის სახელად, რაც არ იგრიხება და დაგრეხის დროს ტყდება. მაგ. კაპრაში შეიძლება მსხვილი ბალახიც იყოს". **„ხრჩოლი** – წნელის რგოლებიანი გრეხილი, რომლითაც ბაგაზე ამაგრებენ ხარის დასაბმელ რკალს". **„ძარი** – დიდი გოდორი, რომლითაც ნაკელს ზიდავენ მინდორში. სდებენ ურემზე". **„ჩათანი**– ძარზე დიდი გოდორი, რომელშიც ინახავენ სიმინდის ტაროებს (სიმინდიანში)". **„ხანდაკი**– ყანის პირას ამოჭრილი პატარა ზოლი, რომ ხალხმა და საქონელმა არ იაროს ყანაზე". **„ნეგო**– ჩაის ფოთლის მაგვარი ფოთლოვანი მცენარე. სურნელოვანია. მისგან ხარშავენ ჩაის". **„სარო**-ბალახია მთისა. ჭინჭარივით აქვს ბუსუსები, მოსოსნო ფერი ყვავილები აქვს. ვისაც თავი სტკივა, იმის წვენით იბანენ თავს". **„ეტე**– ხმარობენ თქმაში. მაგ. -ეტე რა მოსვლია იმ კაცს". **„გოლგოთონა** – (ნიგოზელა – გარე კახ.). ეკლიანი ბალახია, ნაყოფი აქვს გარშემო ეკლიანი, გულს სჭამენ. ჩვენშიც იცის" და სხვ. აქაც სულ 250-მდე სიტყვაა დაფიქსირებულ-ახსნილი.



1955 წ. არაგვის ხეობა

ამრიგად, ქართული სიტყვის მოკალმასე გიორგი ლეონიძემ სამცხე-ჯავახეთში ჩაიწერა 300-ზე მეტი სიტყვა – მცენარეული, საოჯახო ნივთების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების ახსნა-აღწერილობით. ზოგიერთ სიტყვას მიაწერა კახური, გარეკახური და ქიზიყური შესატყვისები, დაურთო საილუსტრაციო ჩანახატებიც. შეიძლება ეს დიალექტური ერთეულები ადრეც იყო ჩაწერილი, მაგრამ პოეტმა მათი ახალი ან განმასხვავებელი მნიშვნელობა დაადასტურა.

ფაქტია, რომ გიორგი ლეონიძემ განძად დაგვიტოვა მესხეთზე შექმნილი შესანიშნავი ლექსების ციკლი, მესხური და ჯავახური დიალექტური ლექსიკის ნიმუშები და ერთხელ კიდევ დაადასტურა „ნატვრის ხის" ერთ-ერთი გმირის იდეალი: „ო, როგორ მიყვარს მუხლადი, ბედაური, მძლარი სიტყვაო" – ამის თქმა შეეძლო მხოლოდ ქართული მეტაფორული აზროვნების ფალავანს გიორგი ლეონიძეს, რომელმაც თავისი მუხლადი, ბედაური, მძლარი სიტყვით ქართველობა დააძარღვიანა.

**გიორგი ჯავახიშვილი**

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული მასალები კიტა ჩხენკელისა და მისი მონათესავეებისა და თანამოაზრეების – იოლანდა მარშევის, რუთ ნოიკომისა და ლეო ფლურის – შესახებ. ამ პუბლიკაციებმა მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. გვთხოვდნენ უფრო ვრცლად გაგვეცნო მათთვის დიდი ქართველი მოღვაწის – კიტა ჩხენკელის – ცხოვრება და მოღვაწეობა. ჩვენც ვიზიარებთ მკითხველის აზრს, რომ კ. ჩხენკელის საქმიანობა მეტ დაფასებას და პოპულარიზაციას საჭიროებს: ამიტომაც რედაქციის თხოვნით ბატ. ვ. იმნაიშვილმა მოამზადა ვრცელი ნარკვევი ქართულ მიწას იძულებით მოწყვეტილი ქართული საქმისათვის დამაშვრალი ქართველი კაცის – კიტა ჩხენკელის შესახებ. წინამდებარე ნომრიდან ვიწყებთ ამ ნარკვევის ბეჭდვას.



კიტა ჩხენკელი
1895–1963

ვახტანგ იმნაიშვილი

# ქრონიკა დევნილის ცხოვრებისა

**კიტა ჩხენკელი** დაიბადა ქუთაისში 1895 წლის 8 ოქტომბერს. მისი ნათლობის სახელია პეტრე, თუმცა დედის მიერ შერქმეული კიტა შერჩა სახელად.

კიტას მამა, ივანე ჩხენკელი, წარმოშობით ხონელი იყო და მაღალ სასულიერო წრეს ეკუთვნოდა ოქუმში (სამურზაყანო). ის არა მარტო მოძღვრავდა იმ მხარის მორწმუნეებს, არამედ იმისთვისაც იღვწოდა, რომ ღვთისმსახურება ეკლესიაში ქართულ ენაზე შესრულებულიყო, და მიაღწია კიდეც ამას.

კიტას დედაც, ირინე გიორგაძეც, ანალოგიურ ატმოსფეროში იზრდებოდა. მამამისი, ბესარიონ გიორგაძე, ეპისკოპოსი იყო. კიტას დედა განათლებული ქალი ყოფილა. 16 წლისა გათხოვილა და ადრე დაწოლია ბეჭებზე მრავალშვილიანი ოჯახის სიმძიმე. ქართული ენის სიყვარულს კიტა დედას უმადლოდა, რომელმაც გააცნო ქართველი ხალხის ისტორია და ძირძველი ლიტერატურა. დედაენა იმ დროს სკოლებიდან თითქმის განდევნილი იყო. „კვირაში მხოლოდ ქართულის ერთი გაკვეთილი გვქონდა, – იგონებს კიტა, – დედაჩემი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა შევიწროებული მშობლიური ენის განმტკიცებას ოჯახში და შვილებსაც შეაყვარა იგი". როგორც ყველაზე უმცროსი და-ძმებს შორის, კიტა დედასთან ყველაზე ახლოს ყოფილა. კიტას დედა დიაბეტით გარდაიცვალა ისე, რომ 50 წლისაც ვერ მიაღწია.

კიტას მშობლებს 9 შვილი ჰყავდათ. კიტა ყველაზე უმცროსი იყო. კიტას ძმებიდან უფროსი, მიხაკო, ცნობილი ექიმი იყო ქუთაისში, ლუკა – ვეტერინარი, ხოლო აკაკი (1874–1959) – ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, პროფესიით იურისტი. იგი მენშევიკების მთავრობის ერთ-ერთი ლიდერი იყო და სხვადასხვა დროს ეკავა ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის, ნოე ჟორდანიას მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტები.

კიტამ ბავშვობა ქუთაისში გაატარა და გიმნაზიაც იქვე დაასრულა 1912 წელს. რაკი იმხანად საქართველოში უნივერსიტეტი არ იყო, კიტას კი საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდა გადაწყვეტილი, იგი ერთი წლის შემდეგ მოსკოვს გაემგზავრა და იქაური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. უნივერსიტეტი მან 1917 წელს დაამთავრა. კიტა საკუთარი აზრების თავისუფლად გამოთქმას არ ერიდებოდა, საქართველოს თავისუფლებას ქადაგებდა, რისთვისაც ის ციხეში ჩასვეს და ციმბირში უპირებდნენ გადასახლებას (მამამისმა საციმბიროდ ტყავის პალტოც კი ჩაუტანა მოსკოვში). მაგრამ მოუსწრო ოქტომბრის რევოლუციამ და სასჯელს გადაურჩა. ციხეში გატარებული ერთი წელი კიტას უქმად არ დაუკარგავს: იგი წიგნებს დაეწაფა და საფუძვლიანად გაეცნო მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

როცა 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, კიტა ჩხენკელი სამშობლოში დაბრუნდა. იგი ჩაება თავისუფალი საქართველოს აღმშენებლობის საქმიანობაში და სხვადასხვა სახის სამუშაოს ასრულებდა სახელმწიფო სამსახურში. 1920 წელს მან სახელმწიფო სტიპენდია მიიღო და სხვა იმედისმომცემ ახალგაზრდებთან ერთად გაემგზავრა ევროპაში, რათა ცოდნა გაეღრმავებინათ და გამოცდილება მიეღოთ თავიანთი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ახალგაზრდების ნაწილი საფრანგეთში წავიდა, ნაწილი – ინგლისში, კიტას კი გერმანიაში მოუწია გა-

ამ წერილის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვით კიტა ჩხენკელის ერთგულ მეგობრებს – იოლანდა მარშევს, ლეო ფლურისა და რუთ ნოიკომს, რომლებმაც ზეპირი თუ წერილობითი სახით უშურველად მომაწოდეს მასალები მათ, როგორც თვითონ იხსენიებენ, „მოძღვრის" შესახებ. მე მათ ჩემს ერთგვარ თანაავტორებად მივიჩნევ და უღრმეს მადლობას მოვახსენებ; ვისარგებლე აგრეთვე კიტა ჩხენკელის ერთი პირადი წერილით იოსებ მეგრელიძისადმი (გაზ. „სამშობლო", 9.VI.1972).

მგზავრება. იქ იგი ჰალეს უნივერსიტეტში შევიდა, სადაც ეუფლებოდა ფილოსოფიასა და სოფლის მეურნეობას. მაგრამ სამი სემესტრის შემდეგ კოტას სწავლისთვის თავის დანებება მოუხდა, რადგან 1921 წელს საქართველოში რუსის ჯარი შემოვიდა. საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა და მენშევიკურმა მთავრობამ დატოვა ქვეყნის ფარგლები. რაკი კოტას ძმა აკაკი ამ მთავრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა იყო (იგი იმხანად დესპანად იყო საფრანგეთში და სამუდამოდ დარჩა კიდეც იქ) და საქართველოში არ დაედგომებოდა, ამით კოტასაც მოეჭრა სამშობლოში ჩამოსასვლელი გზა. ზოგიერთმა მისმა ამხანაგმა მაინც გარისკა და თბილისისკენ გამოსწია, მაგრამ მათი კვალი გაქრა. ამით შეშინებულ კოტას მეტი აღარც უფიქრია სამშობლოში დაბრუნებაზე ცხადია, სტიპენდია შეუწყდა, ვერც შინიდან იღებდა მატერიალურ დახმარებას და დარჩა 26 წლის ახალგაზრდა ბედის ანაბარად უცხო მხარეში, საარსებო წყაროს გარეშე, სამშობლოსაგან მოწყვეტილი.

უსახსროდ დარჩენილი კოტა უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა. 4 წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, შიმშილობდა. ბოლოს, სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახეს, მან და მისმა მეგობრებმა საქართველოდან წაღებული საფოსტო მარკების რეალიზება გადაწყვიტეს. ვიღაც ფილატელისტს ნაწილ-ნაწილ მიჰყიდეს იშვიათი მარკები და ამით ირჩენდნენ თავს.

კოტა არავითარ სამუშაოს არ თაკილობდა. მძიმე ფიზიკურ შრომასაც არ ერიდებოდა. მუშაობდა მაგდებურგის ქვანახშირის მაღაროებში, ჰამბურგის პორტში მტვირთავად, ფაბრიკაში ღამის დარაჯად, ოღონდ თავი გაეტანა. თან გონებრივ შრომას უნაცვლებდა. რაკი რუსულის კარგი მცოდნე იყო, კერძო გაკვეთილებს აძლევდა, ხანდახან თარგმნიდა, ზოგჯერ ჟურნალისტობდა კიდეც. ისედაც მძიმე პირობებში მყოფი, მაშინდელ გერმანიაში უცხოელთა მიმართ არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებამ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდო.

თავისი რკინისებური ნებისყოფისა და გამორჩეული ინტელიგენტობის წყალობით კოტამ შეძლო ჰამბურგის უნივერსიტეტთან კონტაქტის დამყარება და იქ მეორე სპეციალობა – ნაციონალური ეკონომია – მიიღო. იმავდროულად ენათმეცნიერებასაც ეუფლებოდა (რაკი ენებს ასწავლიდა, სჭირდებოდა ეს). დისერტაციაც დაწერა: „აგრარული განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში", რომელიც დაიცვა ჰალეში 1936 წელს. ამ ნაშრომში კოტამ გამოავლინა საქართველოს ისტორიის, მისი აგრარული განვითარების ღრმა ცოდნა. მან წარმოადგინა დამაჯერებელი დასკვნებით მდიდარი შედარება საქართველოს აგრარული მეურნეობისა რუსეთისასთან. როგორც აღნიშნეს, ეს ნაშრომი თავისი დონით ბევრად აღემატებოდა ჩვეულებრივი დისერტაციების ჩარჩოებს.

ამის შემდეგ კოტას ერთგვარად გზა გაეხსნა უმაღლესი სასწავლებლებისაკენ. სამწუხაროდ, მაშინდელ გერმანიაში პოლიტიკური მდგომარეობა დაძაბული იყო, უცხოელთათვის ლამის აუტანელიც. კოტას შესთავაზეს (ნაციონალსოციალისტებმა), მიეღო გერმანიის მოქალაქობა და პროფესურასაც ჰპირდებოდნენ, მაგრამ კოტამ უარყო ეს წინადადება, რადგან დაყაბულების შემთხვევაში შეზღუდული იქნებოდა და თავისი აზრების თავისუფლად გამოთქმის საშუალებაც ნაკლებად ექნებოდა. ამიტომ მან აირჩია ერთგვარად „ნეიტრალური სფერო", ამჯობინა, დროებით რუსული ენის კერძო გაკვეთილებით ირჩინა თავი. მოგვიანებით მან მიიღო ჰამბურგის უნივერსიტეტის ზოგიერთი პროფესორის შემოთავაზება და უნივერსიტეტში რუსული ენის სწავლება დაიწყო. მალე კოლონიურ ინსტიტუტსა და უმაღლეს სახალხო სკოლაშიც მისცეს რუსულის საათები, ერთი წლის შემდეგ კი უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლების უფლებაც მიიღო. რუსულის ლექციებს კვირაში 10 საათი ჰქონდა დათმობილი, ქართულისას – 4.

ადვილი არ იყო კოტასთვის გერმანიაში ქართულის სწავლება. ერთხელ ისეთ დღეში ჩავარდა, მოინდომა დროებით ყველაფრისთვის თავის დანებება და ერთ თავის თანამემამულეს, რომელიც ექიმი იყო, ცნობაც კი გამოართვა, თითქოს ის ტუბერკულიოზით იყო დაავადებული, მკურნალობა სჭირდებოდა. პარიზში „გაქცევა" გადაწყვიტა. ცხადია, ეს იყო წამიერი სისუსტე, წამიერი მერყეობა, საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვების გამო. კოტა კი არ უნდა გაჰქცეოდა ენების სწავლებას, პირიქით, დადგა დრო, რომ უფრო ღრმად ჩასწვდომოდა ამ ენების სტრუქტურას, მათი საიდუმლოებების ამოცნობას, რომ რაც შეიძლება იოლად მიეტანა ქართული გრამატიკის რთული საკითხები ევროპელ მსმენელამდის, რაც შეიძლება ადვილი, მარტივი გზა ეჩვენებინა ენის ლაბირინთებში გზის გაკვლევისა იმ უცხოელთათვის, ვინც მის წინ მერხებზე ისხდა, გაფაციცებით უსმენდა და ცდილობდა, მასწავლებლის არც ერთი სიტყვა არ გამორჩენოდა. პირველ რიგში კოტა, ცხადია, ქართულზე ფიქრობდა. რუსულს ხომ შეუდარებლად მეტი პატრონი ჰყავდა (თანაც იმ დაძაბულ პერიოდში!). კოტას თავისი არაჩვეულებრივი პედაგოგიური ტალანტის წყალობით შეეძლო მსმენელთათვის მასალის მეტად გასაგებად და ნათლად მიწოდება. მის მსმენელებში ბევრი ერია კოლეგა, აღიარებული ენათმეცნიერი. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ კ. მაინჰოფი, მ. მაიერ-ბენფეი, ჰ. შერიჯი, ვ. აიხელე და ცნობილი ხეთოლოგი ერნსტ ცილარცი, რომელიც შემდგომ მისი საუკეთესო მეგობარი გახდა. ისინი არა მარტო იწონებდნენ კოტას საქმიანობას, მის მონდომებას, რომ ქართულის სწავლება დაემკვიდრებინა ჰამბურგის უნივერსიტეტში, სადაც ის 1938–45 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, არამედ, უფრო მეტიც, აგულიანებდნენ, აქეზებდნენ მას, რომ ძნელად შესასწავლი ქართული ენის შესახებ ევროპელთათვის ასე საჭირო სახელმძღვანელო დაეწერა. ერთ დღეს პროფესორმა მაიერ-ბენფეიმ კოტა თავისთან მიიწვია და მეგობრული საუბრის დროს დაარწმუნა იმაში, რომ ენათმეცნიერებისთვისაც და საქართველოსთვისაც ფასდაუდებელი საქმე გაკეთდებოდა, თუ კოტა თავის ფუნდამენტურ ცოდნას მეცნიერულად დასაბუთებულ სახელმძღვანელოში მოუყრიდა თავს. ქართული ენა სჭირდებათ და აუცილებელია არა მარტო ენათმეცნიერებისათვის, არამედ ეთნოლოგების, არქეოლოგებისა და ისტორიკოსებისათვის, ყველასთვის, ვისაც კვლევის თემად და არეალად კავკასია ჰქონდა არჩეული. კოტამ გახარებულმა და იმავდროულად დაფი-

ქრებულმა დატოვა მაიერ-ბენფეს სახლი. მის წინ უცბად პერსპექტივა გამოჩნდა: პოლიტიკური მიზეზების გამო საქართველოში ვერ დაბრუნდებოდა. ამიტომ მას თავისი კალმით უნდა გაეკაფა გზა თავისთვისაც და ქართული ენისთვისაც. ამ დღის შემდეგ კიტა ჩხენკელის მთავარ მიზნად ქართული ენისათვის გზის გაკვალვა გახდა. მაგრამ მას კარგად არ ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა სიძნელეები ელოდა ამ მიზნის განსახორციელებელ გზაზე.

უპირველეს ყოვლისა, კიტას საჭირო წიგნები უნდა ეშოვა. განსაკუთრებით საქართველოში გამოცემული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა. ეს თითქმის შეუძლებელი იყო. იმხანად საქართველოში წიგნების გაცვლა-გამოცვლა უცხოეთთან, განსაკუთრებით კერძო პირებთან, და, მით უმეტეს, ქართველ ემიგრანტებთან, მეტისმეტად ძნელი იყო. ამიტომ კიტას უხდებოდა შემოვლითი გზებით სარგებლობა: ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ის ახერხებდა ამა თუ იმ წიგნის მიკროფილმის მიღებას და წვალებით აგროვებდა აუცილებელ ლიტერატურას. ზოგჯერ ბედი გაუღიმებდა და ორიგინალურ ეგზემპლარსაც შოულობდა. ამგვარად შეაგროვა მან წლების განმავლობაში საკმაოდ კარგი ბიბლიოთეკა. მაგრამ ეს წიგნები არ იყო საკმარისი, რადგან მას უნდა განეხილა არა მარტო ის საკითხები, რაც, ასე თუ ისე, შესწავლილი იყო, არამედ უნდა გადაეწყვიტა ისეთი პრობლემებიც, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებდა დამუშავებას. გამოსაკვლევი იყო, მაგალითად, იმ დროისათვის, როცა კიტა ჩხენკელი ქართული ენის სახელმძღვანელოს დასაწერად მასალებს აგროვებდა, ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართული ზმნის უღლების პარადიგმების სრული სურათის ამსახველი ნაშრომი, არ მოიპოვებოდა ისეთი გამოკვლევა, სადაც გამოწვლილვით იქნებოდა განხილული ქართული სინტაქსის საჭირბოროტო საკითხები.

მიუხედავად ამისა, მან დაიწყო მოსამზადებელი სამუშაო. წინასწარი კვლევა-ძიება და ძირითად ხაზებში დაასრულა კიდეც ნაშრომი, რომელსაც ერთხელ კიდევ სჭირდებოდა საბოლოოდ კრიტიკულად თვალის გადავლება და ცალკეული საკითხების მოგვარება-გადაწყვეტა. კიტამ თითქოს შვებით ამოისუნთქა - ვერც შიმშილმა და ვერც ცხოვრებისეულმა ყოფითმა სიძნელეებმა ხელი ვერ შეუშალა მას დასახული მიზნისკენ მიმავალ გზაზე. მაგრამ ნათქვამია, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო.

1943 წლის ივლისში, როცა მოკავშირეებმა ჰამბურგი დაბომბეს, ის შენობა, სადაც კიტა ცხოვრობდა დაინგრა, დაიწვა და მთელი მისი ავლა-დიდება განადგურდა. კიტა იმ დროს, იღბლად, ჰამბურგში არ იმყოფებოდა, მეგობრებთან იყო სტუმრად ჰესიშ ოლდენბურგში და ამგვარად გადაურჩა სიკვდილს. მაგრამ ცეცხლის ალმა შთანთქა დიდი წვალებით შეგროვებული მისი ბიბლიოთეკა და ხელნაწერიც მისი წიგნისა. „როცა მე ჰესიშ ოლდენბურგიდან დავბრუნდი, იმ ადგილას, სადაც ჩემი სახლი იდგა, ნანგრევების გროვაღა დამხვდა. ერთადერთი, რისი გადარჩენაც შეშინებულმა სახლის პატრონმა შეძლო, იყო ჩემი ქართული საბეჭდი მანქანა და ძველი ნახმარი პალტო, რომლებმაც შემდეგში მე კარგი სამსახური გამიწიეს. ჩემი მასალები და ხელნაწერები კი თავზარდაცემულმა სახლის პატრონმა ბედს მიანდო. სამი დღის განმავლობაში დავბორიალობდი ნანგრევებში და ვეძებდი ქაღალდის ნაგლეჯებს ჩემი მასალებისას. მაგრამ ამაოდ - ყველაფერი დამწვარიყო და ფერფლად იყო ქცეული. არაფერი გადარჩენილიყო. პატარა უბის წიგნაკიც კი სადაც შენიშვნები მეწერა. მოულოდნელად ნანგრევებში ერთი კაცი შევნიშნე, რომელიც გროვას ქექავდა: იქნებ რამე ვიპოვოო. ალბათ, მას გამოველაპარაკე და თვალში მეცა, რომ ეს კაცი თავისი გამომეტყველებითა და ქცევით სრულ ჭკუაზე აღარ იყო.- ეჰე,- გავიფიქრე,- თუ არ ვიმოქმედე, ჩემს თავს თუ არ შევუძახე, მეც ასეთი დღე მელის. ასე მოვშორდი ნანგრევებს და მივმართე ჩემს მსმენელებს, რომლებმაც მომაშველეს ჩემი ლექციების ჩანაწერები. ამ უბედური შემთხვევის შემდეგ ჩვეულებად ვაქციე ჩემი ნაშრომებიდან ასლების გაკეთება, რომელთაც ჩემს თანამშრომლებთან სხვადასხვა ადგილას ვინახავდი მოულოდნელი ხიფათისაგან თავის დაზღვევის მიზნით", - იგონებს კიტა.

კიტა ჰამბურგში ერთ კვირას დარჩა, შემდეგ კი ჰესიშ ოლდენბურგში დაბრუნდა და ორი წელი სოფლად გაატარა მეგობრების ოჯახში.

დაბომბვის შედეგებმა კიტაზე შოკისმომგვრელი ზემოქმედება მოახდინა და დიდი ხნით გამოიყვანა წყობიდან. მუშაობის უნარი და სურვილი დაუკარგა და იმის ხალისიც წაართვა, ხელახლა შესდგომოდა წიგნზე მუშაობას, აღედგინა დაკარგული. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საომარი მდგომარეობა არ იძლეოდა წყნარი, მშვიდი მეცნიერული მუშაობის საშუალებას.

ამიტომ კიტამ გადაწყვიტა, დაეტოვებინა გერმანია და შვეიცარიას შეჰკედლებოდა. რაც დაემართა, იმაზე უარესი რაღა მოუვიდოდა - დაკარგა სამშობლო, ყველაფერი, რაც კი უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე უცხოეთში ყოფნისას შეიძინა თუ თვითონ შექმნა. მხოლოდ უკეთესის მოლოდინი ჰქონდა.

1943 წლის 5 მარტის ნისლიან დილეს მან, ჰამბურგიდან მომავალი და საბარგო მანქანის ძარაზე მოკალათებულმა, ძველ პალტოში გახვეულმა, ერთი პატარა ჩემოდნითა და საბეჭდი მანქანით ხელში, გადაკვეთა შვეიცარიის საზღვარი.

არც აქ ელოდა მას დალხენილი ცხოვრება. პირველ ხანებში მაინც. კიტა შვეიცარიაში იმიტომ წავიდა, რომ, ჯერ ერთი, იქ შედარებით სიმშვიდე იყო, რაც მას ახლა ასე სჭირდებოდა, მეორე, ციურიხში მას თავშესაფრის მიცემას შეჰპირდნენ. უსახსრო კაცისთვის ესეც დიდი შეღავათი იყო. გერმანიაში ხუთიოდე წლის წინ დამკვიდრებული მდიდარი ფაბრიკანტის, შნეიდერის, დამ, რომელსაც კიტა აგრეთვე კარგად იცნობდა, შესთავაზა ქართველ ემიგრანტს, თეატერშტრასეზე მდებარე ხუთსართულიან სახლში დაეკო ბინა. მადლობის მეტი რა ეთქმოდა!

როცა კიტა ჩხენკელი შვეიცარიაში ჩავიდა, იმ წელს 50 წლისა შესრულდა და, ცხადია, მისთვის ადვილი არ იყო ამ ასაკში ახალი ცხოვრების დაწყება. მრავალი რამ აწუხებდა - სამშობლოსა და ოჯახზე ფიქრი, შერყეული ჯანმრთელობა (ვენების გაგანიერება ჰქონდა, ფეხები სტკიოდა, თირკმელში დიდი კენჭი აღმოაჩნდა...), უსახსრობა. თანაც იმხანად შვეიცარია სავსე იყო ლტოლვილებით და სამუშაოს შოვნა ძალიან ჭირდა.

(გაგრძელება იქნება)

ბელა წიფურია

# გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის გაგებისათვის

ალბათ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონი ყველაზე რთული, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე პოპულარული შემოქმედია XX საუკუნის ქართულ კულტურაში. რაც ყველაზე უცნაურია, გალაკტიონის პოეზია თანაბარ ესთეტიკურ ტკბობას თუ ნუგეშს ანიჭებს იმ მკითხველსაც, ვისაც საკმაოდ ღრმად ესმის ამ სტრიქონთა მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობა და იმასაც, ვინც ძნელად თუ აგიხსნით, საკუთრივ რა იზიდავს ამ ლექსებში, თუ რატომ მოსწონს ისინი. რასაკვირველია, პოეტის თხზულების „გაგება" პირობითი ცნებაა; ვერავინ იტყვის დანამდვილებით, რომ პოეტური ტექსტის მისეული აღქმა-გაგება, ანუ მისეული ინტერპრეტაცია ბოლომდე თანხვდება ავტორისეულ სათქმელს, მის ჩანაფიქრს. მეორე მხრივ, თანამედროვე ლიტერატურისმცოდნეობაში სწორედ მკითხველისეული ინტერპრეტაცია ცხადდება სრულუფლებიან მოვლენად პოეტურ ქმნილებასთან მიმართებაში. ამდენად, ყოველ მკითხველს, გალაკტიონის პოეზიის ყოველ მოყვარულს აქვს უფლება, განაცხადოს, რომ სწორედ იგი ფლობს ამ ქმნილებათა ცოდნას და ეს ცოდნა ჭეშმარიტია (თავად მისთვის მაინც), რამდენადაც მისეულია, მის მიერ შინაგანად განცდილი, საკუთარ სულიერ სამყაროში მოძიებული. ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ამგვარი განცდა არ შეიძლება იყოს ყალბი. ნაძალადევი. საბედნიეროდ, ყმაწვილთა უმრავლესობა საქართველოში მანამ ასწრებს გალაკტიონის ლექსების შეყვარებას, სანამ სასკოლო პროგრამის მოთხოვნების თანახმად მოუწევდეს მათი განხილვა, გაანალიზება. ვგონებ, აქ აწყდებიან ისინი იმ სირთულეს, რომელიც ახლავს შინაგანი, თუ გნებავთ, არაცნობიერი განცდებისა და ასოციაციების აზრად ჩამოყალიბების, გაცნობიერებისა და გამოხატვის პროცესს. რატომ არის, რომ მაშინაც, როცა ლექსი მართლაც ზემოქმედებს მკითხველზე, მას შეიძლება უჭირდეს მსჯელობა ამ თხზულების შესახებ? საქმე ის არის, რომ ლექსის, მხატვრული ქმნილების აღქმა არ არის ცალსახა პროცესი, მხოლოდ ცნობიერი, გონისმიერი საწყისით წარმართული საქმიანობა. ამ პროცესში თანაბრად მონაწილეობს ადამიანის სამივე საწყისი: სხეულებრივი, გონისმიერი და სულისმიერი. პიროვნების სხეულებრივი საწყისი ლექსს აღიქვამს იმდენად, რამდენადაც ესმის მისი ხმა, აფიქსირებს მის ჟღერადობას, მელოდიურობას. მაშინაც, როცა ლექსს წიგნიდან ვკითხულობთ, ჩვენ „ვახმოვანებთ" მას, გულში წარმოვთქვამთ ამ სიტყვებს, რათა ჩვენი შინაგანი რიტმი შევუსაბამოთ ლექსის რიტმს. ამდენად, პოეტურ ტექსტს უპირველესად აღვიქვამთ სწორედ ჩვეულებრივი, ფიზიკური საწყისით, სმენით. ამ დროს ჩვენ გვესმის ჩვენივე ინსტინქტებისა; ლექსი აღვიძებს ჩვენსავე შემეცნებას, საკუთრივ კი – ადამიანური შემეცნების ერთ-ერთ ფორმას, ინსტინქტურ შემეცნებას. ამ დროს პიროვნება კავშირშია საკუთარ ქვეცნობიერ, ირაციონალურ სამყაროსთან. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ გალაკტიონის პოეზიას ძალუძს, ყველაზე ძალუმად შეგვაგრძნობინოს ჩვენივე შინაგანი მდგომარეობა, აღადგინოს დარღვეული კავშირი ჩვენსავე ქვეცნობიერებასთან, მოგვასმენინოს ჩვენივე „შინაგანი ხმის" ძახილი. შესაძლოა, ამ პროცესს ზოგჯერ აღარც მოჰყვებოდეს შემდგომი, ცნობიერი თუ სულიერი აღქმა ლექსისა, მაგრამ ეს არის პირველი და აუცილებელი ეტაპი. ალბათ, ხშირად სწორედ ამ ეტაპზე წყდება გალაკტიონის ლექსების შეცნობაც, მაგრამ, როგორც ვხედავთ, თუნდაც მხოლოდ ამიტომაც არის ეს ლექსები ძვირფასი თითოეული მკითხველისათვის.



პოეტური ტექსტის შეცნობის მეორე ეტაპი გულისხმობს ცნობიერ, რაციონალურ აღქმას, ლექსის გააზრებას, ავტორის სათქმელის გაცნობიერების მცდელობას. ამ დროს ჩვენ უკვე ვუფიქრდებით პოეტის სიტყვებს, მათ აზრობრივ მნიშვნელობას, გვსურს, ამოვიცნოთ ის კონკრეტული აზრი, რომელიც ავტორმა „ჩადო" ამ სტრიქონებში. თუკი ინსტინქტურ ეტაპზე მკითხველის წინაშე წარდგებოდა მისი საკუთარი „მე", ახლა ეს „მე" ეძებს კავშირს ავტორის „მე"-სთან. ეს არის ლე-

ქსის შეცნობის ინტელექტუალური ეტაპი. შესაძლოა, გალაკტიონის სიტყვათა კონკრეტული აზრობრივი მნიშვნელობის ძიება ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა, რადგან პოეტის გენიალურ ლექსთა უმრავლესობა შექმნილია სიმბოლიზმის მხატვრული და თეორიული პრინციპების თანახმად; სწორედ სიმბოლიზმი უცხადებს უნდობლობას ადამიანის გონისმიერ მოღვაწეობას და ხშირად უარს ამბობს სიტყვათა კონკრეტულ, ლოგიკურ მნიშვნელობაზე. მისთვის მნიშვნელოვანია სიტყვათა ისეთი კავშირები, რომელიც წარმოგვიჩენს მათ უზოგადეს ურთიერთმიმართებას და არა უბრალო ლოგიკურ ან სინტაქსურ ურთიერთდამოკიდებულებას. ამგვარ პოეზიას მიხეილ კვესელავამ „ინტეგრალური პოეზია" უწოდა; ინტეგრალური პოეზიის აღქმა კი გულისხმობს არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ, შესაძლოა, სულიერი ძალების მოშველიებას. მხოლოდ ამ დროს იხსნება სრულად ჩვენივე ინტელექტუალური შესაძლებლობებიც. რასაკვირველია, ინტელექტის მუშაობა აუცილებელია სიმბოლისტური პოეზიის, მათ შორის, გალაკტიონის ლექსების აღქმისასაც, მაგრამ ამ დროს ჩვენი გონება უნდა ცდილობდეს, დააფიქსიროს არა მოვლენათა მიწიერი სახე, მატერიალური კანონზომიერებანი, არამედ სიტყვების,მოვლენების აზრების, გრძნობების მთლიანობა. მაგრამ სწორედ ამ მთლიანობის აღსაქმელად ხდება საჭირო სულიერი მოღვაწეობაც; ფაქტობრივად, მთლიანობის აღქმა გულისხმობს კიდეც სულიერ მოღვაწეობას. უფრო ზუსტად რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორი შეიძლება იყოს სულიერი ჭვრეტა, გავიხსენოთ, თუნდაც, ილია ჭავჭავაძის „ჩრდილი". როგორც გვახსოვს, „ჩრდილის" ლირიკული გმირის წინაშე იხსნება სამყაროს ფარული არსი, მას ესმის „ბუნების მეტყველება", ხედავს „უცნაურ სახილველს", ე.ი. აღიქვამს არა მიწიერ, მატერიალურ მოვლენებს, არამედ სამყაროს სულიერ საზრისს; ყოველივე ეს კი ხდება მას შემდეგ, რაც გონისმიერი ეჭვებისაგან გვემული მისი სული და გული „განცხოველდა წმიდის სიყვარულითა". სწორედ ამგვარი შეიძლება იყოს სულიერი, ინტუიციური შემეცნება – ლექსის შემეცნების მესამე, დამაგვირგვინებელი ეტაპი; სწორედ ამიტომ არის საჭირო სულიერი ძალების დაძაბვა არა მხოლოდ სამყაროს მთლიანობის,არამედ ლექსის მთლიანობის აღსაქმელადაც, რადგან ყოველი მაღალმხატვრული ლექსი წარმოადგენს მიკროსამყაროს, სამყაროს მთლიანობის გამომსახველ მოდელს, რომელიც გვაკავშირებს მთელს გარესამყაროსთანაც. მეორე მხრივ, ლექსის, ე.ი. სამყაროს სრული აღქმა ჩვენივე შინაგანი სამყაროს გამთლიანებით უნდა მოხდეს. ლექსის შეცნობის ინტუიციურ ეტაპზე ხორციელდება ამჯერად უკვე სამმაგი კავშირი: მკითხველისა საკუთარ თავთან, ავტორის პიროვნებასთან და მთელს გარესამყაროსთან. მკითხველმა უნდა მოახდინოს თავისი ინსტინქტური, ინტელექტუალური და ინტუიციური ძალების მობილიზაცია, შეიგრძნოს საკუთარი სხეულის, გონებისა და სულის მდგომარეობა. რასაკვირველია, ამგვარი იდეალური აღქმა ლექსისა საკმაოდ იშვიათი მოვლენაა და ის ვერ განხორციელდება ყველა იმ შემთხვევაში, როცა კი ჩვენ გადავიკითხავთ გალაკტიონის ლექსებს, მაგრამ, შესაძლოა, განხორციელდეს მაშინ, როცა ლექსის წაკითხვის პროცესს განვიხილავთ, როგორც მნიშვნელოვან შინაგან მოღვაწეობას და, რაც მთავარია, შევეცდებით გავაფართოოთ ჩვენი ცოდნის არე და განვავითაროთ ჩვენი სულიერი საწყისი ალბათ, მაშინ შეგვეძლება, განვაცხადოთ, რომ „გავიგეთ" გალაკტიონის ლექსი. თავად პოეტი კი ამგვარ მითითებას გვაძლევს: „ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს, ის პოეზიას ჩემსას გაიგებს". მართლაც და, რა კავშირი შეიძლება იყოს ლექსსა და ჩუქურთმას შორის? როგორ შეიძლება მიემსგავსოს ერთმანეთს ლექსისა და ჩუქურთმის „გაგება"? ჩუქურთმის სილამაზის აღქმა ისევე საჭიროებს ორნამენტის ხვეულებში (ან საკუთარი შინაგანი სამყაროს ხვეულებში) ჩაღრმავებას, როგორც გალაკტიონის ლექსისა (ინსტინქტური ეტაპი). ჩუქურთმის „მნიშვნელობაც" ძნელადგამოსაცნობია, ძნელადგამოსახატი. მას იოლად ვერ ჩამოვაყალიბებ აზრობრივი ფორმით, ისევე, როგორც გალაკტიონის ლექსების მნიშვნელობას (ინტელექტუალური ეტაპი). მაგრამ ჩუქურთმის ფარული შინაგანი არსი გაიხსნება მაშინ, როცა მას დავინახავთ ტაძრის მთლიანობასთან მიმართებაში, სარწმუნოებრივი თვალთახედვის მოშველიებით (სულიერ-ინტუიციური ეტაპი). სწორედ ასევე გაიხსნება ჩვენს წინაშე გალაკტიონის ლექსის სულიერი მნიშვნელობა, თუ მას წარმოვისახავთ მთელს გარესამყაროსთან და დიდ სულიერებასთან მიმართებაში.



ლია ქეიშვილი

# ქართული ენის სწავლების გასაუმჯობესებლად

## ნაწილი მესამე

## სწავლა-აღზრდის ერთიანი პროცესის უზრუნველყოფისათვის

განუზომელია ეროვნულ სკოლაში ქართული ენის სასწავლო, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის პრობლემა მუდამ მწვავედ იდგა ჩვენი სკოლის წინაშე, რაც იმითაც იყო გამოწვეული, რომ გაკვეთილზე მუშაობა სწავლების უპირატესი ნიშნით მიმდინარეობდა. დიდი ილიას აზრი ამ საკითხზე დღესაც მეტისმეტად აქტუალურია: „დღეს ყველაფერი შეწირული აქვს გონების გახსნასა და დავიწყებულია, რომ ჭკუა-გონების გარდა ადამიანს გულიცა აქვს, რომელსაც კაი-კაცობისათვის ისეთივე წვრთნა უნდა, როგორც ცოდნისთვის ჭკუა-გონებასა". რა მივაწოდოთ მოსწავლეებს ამ მიზნის მისაღწევად და როგორ. მასალა მართლაც ბევრზე ბევრი გვაქვს, რადგან მკლავმოუღლელი, ნიჭიერი ქართველი ერი ძნელბედობის ჟამსაც აგებდა ტაძრებს, ამკობდა განსაცვიფრებელი ფრესკებით, ადიდებდა უფალს საკუთარი საგალობლებით, ბჭა და ბეშქენ ოპიზრებით ჭედდა ხატებს, თარგმნიდა და საკუთარი ანბანით ამრავლებდა ხელნაწერებს, აარსებდა სავანეებს საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ, ქმნიდა განუმეორებელ ხახულის კარედს, გასაოცარ ყინწვისის ანგელოზს... მოცახცახე სანთლის შუქზე „დიდისა იწროებასა შინა" ცივ სენაკებში შექმნილი და გადანუსხული ნატიფი ხელნაწერები ხომ დღესაც განაცვიფრებენ მნახველთ... რა ქმნიდა ასეთ შედევრებს ამ უმძიმეს პირობებში? ამ კითხვას ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერის მოკრძალებული მინაწერით გვინდა ვუპასუხოთ: „დიდ არს ძალი სიყვარულისაი, რომელი მორჩილ ყოფს გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცა"... (არსენ ამაროლელი).

განა შეიძლება ამ უმდიდრესი მასალის უგულებელყოფა სწავლებისა და აღზრდის პროცესში? უპირველესად ამ ზღვა მასალიდან დიდი დაკვირვებით უნდა შეირჩეს უმთავრესი – რა მიეწოდოს, ხოლო შემდეგ – როგორ.

შერჩეულმა მასალამ უნდა გააფართოოს მოსწავლეთა ცოდნის თვალსაწიერი ქართულ ენაში, მოამზადოს მოსწავლეები სპეციალურ ფაკულტეტებზე სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად, საფუძველი ჩაუყაროს ლინგვისტური აზროვნებისა და კვლევის საწყის დონეს, აღუძრას სიყვარული ქართული ენისადმი და სურვილი მისი ღრმად შესწავლისა, ჩაუნერგოს პატივისცემა წინაპართა ღვაწლისადმი, აღზარდოს 21-ე საუკუნის ადამიანები, რომლებიც უპატრონებენ ჩვენს მდიდარ ეროვნულ საუნჯეს. ასეთი მუშაობა სწავლებისა და აღზრდის ერთიანობის პროცესს უზრუნველყოფს. „სწავლა-ცოდნა" ზნე-ხასიათის საწურთნელ ღონედ უნდა იხმარებოდესო"- წერდა ილია,- რადგანი „...საერო სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე ის არის, რომ ერის მოზარდ თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუფრთხილოს გულისყური და გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა. სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გრძნობით და გულით გაღვიძებული კაცი იმოდენად, რომ იგი საკუთარი ჭკუით და გულით გაუჭირვებლად გაუძღვეს იმ სულიერსა და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულითა და გულით იღწვის და მოქმედებს".

სწავლებისა და აღზრდის ერთიანი პროცესის განხორციელება სწორედ ასეთი მასალითაა შესაძლებელი. ერის სულიერი და მატერიალური საუნჯისადმი პატივისცემისა და მოწიწების გრძნობის აღზრდა, ქვეყნის თავდადებულ მოღვაწეთა შრომის დაფასება მოსწავლეთა ზნეობრივი ამაღლებისა და იმავდროულად მათი ცოდნის გაფართოების, სწავლების დონის ამაღლების საწინდარია.

სწავლებისა და აღზრდის ერთიანი პროცესის განსახორციელებლად IX-XI კლასების მოსწავლეთათვის საჭიროდ მიგვჩნია შემდეგი საკითხების გაღრმავებული სწავლება:

1. ქართული ანბანი.
2. ძველი კულტურის კერები საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ.
3. ქართული ხელნაწერები.
4. ქართული ენის მოამაგენი.

მასალის შერჩევის შემდეგ დგას მისი მიწოდების მეთოდებისა და ხერხების შერჩევის საკითხი – ე.ი. როგორ მიეწოდოს.

ჩვენ ვფიქრობთ, ზოგი ასეთი მასალის მიწოდების ყველაზე უფრო ეფექტური საშუალებაა სასწავლო კინოფილმი, რადგან ფილმი ინფორმაციულად ტევადია. გამოსახვის მრავალი საშუალება აქვს: ფერი, ხმა, მუსიკა, მონტაჟი, მსხვილი ხედი, დეტალის გადიდება, სხვადასხვა რაკურსი, დინამიკა, კადრის გაჩერება და ა.შ. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ი. გოგებაშვილის სახ.პედაგოგიკის ეროვნულ ინსტიტუტში შექმნილია ორი სასწავლო ფილმი „ქართული ანბანი" (რეჟისორი აჩრი ყურაშვილი) და „ნაშრომი განძად დაშთების" (რეჟ. შ. შონია). მათში შეტანილია მსოფლიოს ხალხთა დამწერლობის ნიმუშები, ქართული ანბანი, ეპიგრაფიკული ძეგლები, გვერდები ქართული ხელნაწერებიდან, კამარებისა და საზედაო ასოების მხატვრული გაფორმების ნიმუშები და ა.შ. დამუშავებული და გამოქვეყნებულია მათი გამოყენების მეთოდიკა. გამოცემულია აგრეთვე დიაფილმი „ქართული ანბანი". (სინანულით უნდა შევნიშნოთ, რომ არცერთი ფილმი არ არის გამრავლებული, მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ანბანს" პრიზი აქვს მიღებული, ხოლო მეორე ფილმი კინოსტუდია „ქართული ფილმის" სამხატვრო საბჭოს მიერ უმაღლესი ნიშნით არის შეფასებული). სცენარები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ ფილმებს, გაცილებით ვრცელია. ნიმუშისათვის ვთავაზობთ ერთ ფრაგმენტს. (მასალები ფილმისათვის აღებულია პროფ. ლ. მენაბდის წიგნიდან „ქართული კულტურის კერები"):



საქართველოს
ბიბლიოთეკა

# გელათი

| კადრი | ტექსტი |
| --- | --- |
| I შორიდან ისმის ძველი ქართული საგალობელი. ეკრანის სიღრმიდან მოდის დათოვლილი მთების პანორამა, ხედი გადადის ყვავილოვან ველზე, აქაფებულ მდინარეებსა და ჩანჩქერებზე. კადრშია საქართველოს რუკა, თანმიმდევრულად ციმციმებენ ტაძართა მდებარეობის აღმნიშვნელი ადგილები, ეკრანზე იწერება მათი სახელწოდებანი: ჯვარი, სვეტიცხოველი, ოშკი... და ა.შ. (დიქტორი წარმოთქვამს ტაძართა სახელებს) კადრი ჩერდება და მსხვილად იწერება „გელათი". | „თუ მქონდა ფიქრი, თუ მიზანი მქონდა კაცური, თუ აზრი წმინდა გულს მეწერა ასოთ მთავრულით, ... თუ რამ გზა ვკაფე, თუ ვაშენე რამ სალოცავი, თუ საქმედ დავდე ლონე ჩემი მკლავში ფარული, მე სიყვარულით, სიყვარულით ვიყავ მოძრავი, ჩემს საქმეს ერქვა სიყვარული, ცდას - სიყვარული". |
| II კადრში ეკრანის სიღრმიდან მოდის მთის ფერდობის ვრცელი პანორამა გელათის ტაძრითურთ, რომელიც თანდათან ახლოვდება და მსხვილი გარე ხედით ჩერდება წინა პლანზე მთლიანი გარე ხედის შემდეგ კამერას წინა პლანზე მოაქვს ცალკეული ნაწილები: აღმოსავლეთის, დასავლეთის მხრიდან, უძველესი კარი სამხრეთიდან ჩუქურთმებით. შემდეგ წამყენის იცვლება შიდა ხედით: შორიდან მოდის ღვთისმშობლისა და ყრმის მოზაიკური ფრესკა, ჯერ მთლიანად, შემდეგ კამერა შემოვლით აჩვენებს ნაცმულობას, გამომეტყველებას, დეტალებს... კადრშია სასულიერო პირთა ფრესკები და ბიბლიური სცენები. | ქართული კულტურის „უდიდესი კერა - გელათი" დიდმშვენიერი, დიდნაგები და ქმნული შვენით სიფვის კენჭითა, გუმბათიანი, კეთილსა მშვენიერსა ადგილსა" აგებული მეფე დავით აღმაშენებლის მიერ მე-12 საუკუნის დამდეგს, მემატიანის ცნობით „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა... სიერცითა და ნივთთა სიკეთით და სიმრავლით და მოქნულობისა შეუსწორებლობით"...<br><br>დავითის მშენებლობა ვერ დაუმთავრებია: „...და წარმყვა ტკივილი მისთვისცა სამარადისო... აწ, შვილმან ჩემმან დემეტრე სრულჰყოს ყოველმხრივ"... მამის ანდერძი მეფე დემეტრე თავდადებულს აღუსრულებია. |
| III. ეკრანის წინა პლანზე მოდის მეფე დავითის ფრესკა, შემდეგ დეტალები გადიდებულად: სამეფო სამოსი, გვირგვინი, ხელი ტაძრითურთ, გვირგვინი, გამომეტყველება... თვალები და ა.შ.<br>შორიდან ისმის ძველი ქართული საგალობელი, იკითხება ნაწყვეტი. | „ჟამი რაი წელიწადთა და ხმელთა აღმოფშვენიერებათაი წარმოდგეს, შვებანი უქმ იქმნეს, ყვავილოვნებაი დაჭნეს, სხვამან მიიღოს სკიპტრაი, სხვასა შეუდგეს საპანი, მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!" |
| IV ეკრანზეა გელათის აკადემიის ხედები, ქვის მაგიდა, სკამები... ნიკოლოზის ეკლესია... | გელათი დავითის სიცოცხლეშივე ქცეულა დიდ საგანმანათლებლო კულტურის კერად, მონასტერთან არსებობდა აკადემია, სადაც ისწავლებოდა რიტორიკა, ფილოსოფია, ასტრონომია, გეომეტრია...<br>„დავითმა შემოიკრიბნა კაცნი პატიოსანნი არა თვისისა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქვეყანათა კიდეთათ მოიყვანა და დაამკვიდრნა მას შინა". დავითის მიწვევით გელათში მოღვაწეობდა იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი და სხვა სწავლულნი პირნი. |
| V კადრშია გელათის ბიბლიისა და აქ შექმნილი სხვა ხელნაწერების გვერდები (Q- 1152, Q-39, A-35, H-1349, A-290 და ა.შ)<br>ივერცლება გელათის ოთხთავი (Q 908), ცალკეული გვერდები ჩამოდის გადიდებულად, მინიატურები, დეტალები, ყვავი-რეზიასაზედაო, ასოები[illegible] | აქ იქმნებოდა, ითარგმნებოდა, და მრავლდებოდა უძვირფასესი ქართული ხელნაწერები: გელათის ქრონიკები, გელათის ბიბლია, ძლისპირნი, შიო მღვიმელის საგალობელნი და მრავალი სხვა. |
| VI კადრში დავითის საფლავის ქვა, გარეკანით ჩანს მთავრული წარწერა. შემდეგ ფერმკრთალდება და იცვლება მხედრული წარწერით, რომელსაც კითხულობს დიქტორი: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ამას დავემკვიდრო მე, რამეთუ მინავს ესე"<br>შემდეგ კვლავ მონასტრის მთლიანი ხედი დავით აღმაშენებლის ფრესკა მთელი ტანით... დროდადრო ერთმანეთის ცვლის მონასტერი, საფლავის ქვა, ფრესკა... | გელათში იყო უმდიდრესი წიგნთსაცავი. გელათი იხსენიებოდა „დიდ ლავრად", „ახალ ათინად", „ახალ იერუსალიმად"...<br><br>„ფეხი დამადგით, გულზე დამადგით<br>ფეხი ყოველმან, წყალობა ჰყავით,<br>საქართველოის ყოვლის მპყრობელმან<br>ვისურვე დავით"... ბოლომდე. |

ასეთი გზით მიწოდებული მასალა სწავლებისა და აღზრდის პროცესის ერთიანობას უზრუნველყოფს.

# ღვაწლი ლადო აღნიაშვილისა

ლადო აღნიაშვილი წარმომადგენელია XIX საუკუნის გამოჩენილ, პროგრესულ მოღვაწეთა იმ წრისა, რომელიც თავდადებულად ემსახურებოდა ქართველ ხალხს, აღვიძებდა მის ეროვნულ თვითშეგნებას.

ლ. აღნიაშვილს მოღვაწეობა მოუხდა XIX საუკუნის მიწურულს. მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო მისი საზოგადოებრივი საქმიანობა.

ლ. აღნიაშვილი დაიბადა 1860 წ. 7 მარტს სოფ. შილდაში, მღვდლის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო თელავის სასულიერო სასწავლებელში. შემდეგ იგი შევიდა გორის სამასწავლებლო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1881 წ. და მასწავლებლობა დაიწყო თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში. შემდეგ მუშაობდა თბილისის კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში. იგი თავიდანვე მიისწრაფვოდა საზოგადოებრივი საქმიანობის უფრო ფართო ასპარეზისაკენ. მისთვის ცხადი გახდა, რომ არ კმარა მხოლოდ ერთ სკოლაში მოაგვარო სწავლების საქმე; მას თავისი შესაძლებლობები უფრო ფართო ასპარეზისაკენ უბიძგებდნენ.



ლ. აღნიაშვილის წინაშე წამოიჭრა იგივე საკითხები, რომლებიც ამოქმედებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმული ქვეყნის თავკაცებს. ეს ის დრო იყო, როცა საკეთებელი ძალიან ბევრი იყო, ხოლო მკეთებელთა რიცხვი ძლიერ მცირე.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ლ. აღნიაშვილმა ყურადღება მიაპყრო რუსული ენის სწავლების საქმეს ქართულ სკოლაში.

1887 წელს მან გამოსცა რუსულ-ქართული უბის ლექსიკონი. იმ დროისათვის ქართულ სკოლებში რუსულ ენას ასწავლიდნენ კალანდარიშვილის სახელმძღვანელოთი, რომელიც, თანამედროვეთა დამოწმებით, ვერ უპასუხებდა თავის დანიშნულებას.

ლ. აღნიაშვილმა მოამზადა და 1883 წ. გამოსცა სახელმძღვანელო **„Первый шаг в изучении русского языка."** წიგნს დართული ჰქონდა ლექსიკონი. ბილინგვიზმში განმარტებული იყო სახელმძღვანელოს სტრუქტურა და მოცემული მეთოდური მითითებანი, რომელთა გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ ავტორს ბევრი უფიქრია და უზრუნია, გაეადვილებინა ქართველი ბავშვებისათვის რუსული ენის შესწავლა.

12–13 გაკვეთილი იყო დათმობილი ანბანის გაცნობისა და წერა-კითხვის შესწავლისათვის, რასაც მოსდევდა საკითხავი მასალა და სავარჯიშო წინადადებანი. სავარჯიშოების შიგადაშიგ ჩართული ჰქონდა რუსულ სიტყვა-ფრაზათა ქართული განმარტებები. წიგნის მომდევნო ნაწილში მოთავსებული იყო საკითხავი მასალა: ლექსები, მოთხრობები, იგავები. ბოლოს დართული ჰქონდა ვრცელი ქართულ-რუსული ლექსიკონი. წიგნი გათვალისწინებული იყო სწავლების პირველი ორი წლისთვის.

ლ. აღნიაშვილის სახელმძღვანელო ხარვეზებისგან დაზღვეული არ ყოფილა. მაგრამ, როგორც ავტორი თავმდაბლურად აღნიშნავდა, „დღევანდლამდის ჩვენს სკოლებში რუსული ენის სწავლებას აწყებინებდნენ ნ. კალანდარიშვილის წიგნით და ან იმგვარი ანბანით, როგორიც არიან: უშინსკის, პავლენკოვისა, ბუნაკოვისა, გერბაჩისა, ვოდოვოზოვისა და სხვ., თუმცა ამ ბოლო დროს ყველა მასწავლებელს ესმის, რომ არცერთი ზემოხსენებული წიგნი სრულებითაც არ აკმაყოფილებს თავისი დანიშნულების შესაფერ მოთხოვნილებას, მაგრამ იმ რუსული ანდაზისა არ იყოს – უთევზობაში კიბოც თევზიაო,– რა გაეწყობა, როცა მეტი არა არის რა. ყველამ კარგად იცის, რომ ამგვარი სახელმძღვანელოებით ენის შესწავლაში ძლიერ დიდი და ამასთანავე შეუსაბამო შრომა მიუძღვის პაწაწინა ბავშვს და თუ ძლიერ დახელოვნებული და გამოცდილი მასწავლებელი არ შეხვდა, შეიძლება სარგებლობის მაგიერ, დააზარალოს თავისი მოსწავლეები. აი, ამის გამო განვიზრახე და შევადგინე სახელმძღვანელო წიგნი ჩვენს სკოლაში სახმარებლად „პირველი ნაბიჯი რუსული ენის შესწავლაში"... ვცდილობდი, რომ ცოტად თუ მეტად შემემცირებინა ბავშვისათვის „ჯოჯოხეთი" და, მაშასადამე, შეძლებისდაგვარად დამეკმაყოფილებინა უპირატესი პედაგოგიური მოთხოვნილებანი".

მიუხედავად დადებითი შეფასებისა, სახელმძღვანელომ ვერ ჰპოვა პოპულარობა და ფართო გავრცელება. სულ მალე, 1885 წ. ქართულმა სკოლებმა მიიღეს დიდი ქართველი პედაგოგის – ი. გოგებაშვილის – საყოველთაოდ ცნობილი სახელმძღვანელო „რუსსკოე სლოვო".

მოგვიანებით ლ. აღნიაშვილმა გამოსცა ოჯახში საკითხავი „ახალი ანბანი", ე.ი. „ანბანი ცოდნისა, ანბანი მეცნიერებისა". როგორც ჩანს, მას განზრახული ჰქონია 33 წიგნის გამოცემა. ყოველ წიგნაკს ქართული ანბანის ესა თუ ის ასო უნდა მისცემოდა სახელწოდებად.

ლ. აღნიაშვილმა 1892 წ. უკვე გამოსცა 5 პატარა წიგნაკი. ეს გამოცემები გააკრიტიკეს ჟურნალ „ივერიის" ფურცლებზე („1893 წ." №16, 18, 20, 22); კრიტიკა და ანალიზი ქვეყნდებოდა ჟურნალ „კვალში" 1893 წ.

ამ ე.წ. „წიგნაკების" ანალიზს ამჯერად არ ვაპირებთ;

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ლ. აღნიაშვილამდე არავის უცდია საბუნებისმეტყველო ელემენტარულ-სისტემატიკური კურსის სახელმძღვანელოს დაწერა. მან ბუნებისმეტყველების სხვადასხვა დარგის შემსწავლელი სახელმძღვანელოები შესთავაზა ნორჩ მკითხველებს ისეთი თანმიმდევრობით, როგორიც მიღებულია დღევანდელ სკოლაშიც.

ჟურნალ „ჯეჯილში" 1896–1899 წლებში გამოქვეყნდა მისი არაჩვეულებრივი წიგნები – „საკვირველებანი ბუნებისა".

იმდროინდელი პრესა აღნიშნავდა, რომ „დიდი გაბედულებაა ქართულ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის, ტერმინების უქონლობის გამო, შეადგინოს და გამოსცეს კაცმა ბოტა-

ნიკა, ზოოლოგია, მინერალოგია და ისიც ბავშვებისათვის გასაგები" (თ. წერეთელი).

აღსანიშნავია, რომ სამივე საბუნებისმეტყველო წიგნი დაწერილია განსაკუთრებული სითბოთი და მონდომებით. ამიტომ ბავშვები დიდი ხალისით კითხულობდნენ მათ.

ლ. აღნიაშვილს ახასიათებდა შემოქმედებითი შრომის გასაოცრად დიდი პოტენცია. 1894 წ. იგი გაემგზავრა სპარსეთში იმისათვის, რომ გაეცნობოდა და შეესწავლა სპარსეთის ცხოვრება და შაჰაბაზის დროს ისპაჰანში გადასახლებულ ქართველთა მდგომარეობა. ჟურნალ „მოამბეში" (1986 წ. №/2,3,4,5,6,7,8) გამოქვეყნდა ლ. აღნიაშვილის წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები" (მგზავრის წერილები). წიგნი ცალკეც გამოიცა იმავე წელს. წიგნში საკმაოდ ვრცლად არის მოცემული სპარსეთის იმდროინდელი ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური მდგომარეობა.

ამასთან ერთად წიგნში ისტატურადაა აღწერილი ისპაჰანელი ქართველების ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონე. შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი წარმოადგენს ისპაჰანელი ქართველების ეთნოგრაფიული სინამდვილის ასახვის მეტად საინტერესო ძეგლს. ცნობილია, რომ ლ. აღნიაშვილის გამგზავრებას სპარსეთში მოჰყვა შემდეგ ისპაჰანელი ქართველების მოწინავე კაცების საპასუხო მოგზაურობა საქართველოში. იმდროინდელი ქართული პრესა კარგა დიდი ხნის მანძილზე ათავსებდა წერილებსა და ცნობებს ამ საპასუხო მოგზაურობის შესახებ.

ლ. აღნიაშვილი აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე სხვა საგრო საქმეებშიც. 1887 წ. დაარსდა „ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა", რომლის როლიც განუზომელი იყო არა მარტო ქართული წიგნების, არამედ გაზეთისა და ჟურნალის გამოცემის საქმეშიც.

1890 წ. ლ. აღნიაშვილმა შეკრიბა და გამოსცა „ქართული ხალხური ზღაპრების" ერთი ნაწილი (წიგნი 1), რომელიც შეიცავს 144 გვერდს.

ქართული ფოლკლორის დიდმა სიყვარულმა შეაძლებინა ლ. აღნიაშვილს – არამუსიკოსს – ქართული ხალხური პროფესიული გუნდის – „ქართული ხორის" – ჩამოყალიბება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული მუსიკის ისტორიაში. ეს გუნდი დაარსდა 1885 წ. და მის ხელმძღვანელად მოიწვიეს **იოსებ რატილი** – ნიჭიერი მუსიკოსი, წარმოშობით ჩეხი, პროფესიით – საოპერო მომღერალი, რომელიც საგასტროლოდ იყო ჩამოსული საქართველოში და, მოხიბლული ჩვენი ქვეყნით, ქართველებით, სამუდამოდ დარჩა საქართველოში. იოსებ რატილმა თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით კვალი კვალი დატოვა ქართული მუსიკის ისტორიაში.

„ქართული ხორის" პირველი კონცერტი შედგა 1886 წ. 15 ნოემბერს. მას უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ამაზე მეტყველებს 1886 წ. 18 ნოემბერს „ივერიის" ფურცლებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია: „ქართულმა ხორომ იგალობა ჩვენი საერო სიმღერები, ეს იყო სულის მოძრაობა და გულის ძარღვის ცემა".

ეროვნული გუნდის დაარსებამ განაპირობა საყოველთაო ინტერესის გაღვიძება ხალხური მელოდიების შეკრება-ჩაწერისადმი.

„ქართულმა ხორომ" მთელი საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია მოიარა.

ლ. აღნიაშვილის გუნდი ეროვნული მუსიკალური კადრების აღზრდის კერად იქცა. აქ აღიზარდნენ ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების ფუძემდებლები – ივანე და ზაქარია ფალიაშვილები, ვანო სარაჯიშვილი, ია კარგარეთელი და სხვ.

თვით რატილი კი, რომელიც სათავეში ედგა ამ გუნდს, იმდენად განიმსჭვალა ქართული სულით, რომ თვითონ შეისწავლა და ნოტებზე გადაიტანა ქართველი ხალხის სულიერი საუნჯე და რამდენიმე ათეული სიმღერა გადაარჩინა დაღუპვას. მას ჩაუწერია მაგ.: „დიამბეგო", „ალილო", „კახური სუფრული", „პატარა საყვარელი", „ხელხვავი", „მაღლა მთას მოდგა", „დღეს მერცხალი შემოფრინდა", „მუმლი მუხასა", „პარალალო", „წაიყვანეს თამარ ქალი" და სხვა.

ა. რას წერს „ივერია" 1894 წ. №162-ში: „რატილს მხურვალე სიტყვა წარმოუთქვამს ქართველი ერის სადღეგრძელოდ 1894 წ. ბათუმში გუნდის საპატივცემულოდ გამართულ ნადიმზე. მან სთქვა: „ის ერი ერობს, ის ხალხი ხალხობს, რომელსაც შეულახავად შეუნახია თავისი ენა, პანგი და კილო. კაცისთვის უძვირფასესი საუნჯე დედა-ენაა, სამშობლო საგალობლები და პანგები. გარდაქმნა-გადაგვარება იმ ხალხისა, რომელსაც მდიდარი ენა, ხმები და პანგები აქვს, შეუძლებელია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმდენი სხვადასხვა საგალობელია, ისეთი მდიდარი პანგებია, რომ მე სხვა ქვეყანას ვერ დავასახელებ, რომელიც ამ მხრივ საქართველოს შეედაროს. მეტადრე მდიდარია საქართველო „ხორით", სამქმელი ხმებით, რომელთა შორის მრავალი ნამდვილი სიმფონიაა და ამხიბლავს ევროპელის სმენას".

ამ ხიბლში დიდი წვლილი შეიტანა ლადო აღნიაშვილმა, რომელიც ყოველთვის მხარში ედგა მას თავისი ქართული კონცერტებით.

იოსებ იმედაშვილი ლადო აღნიაშვილის გარდაცვალების 25 წლისთავზე (1929 წ.) წერდა: „ეს იყო უკვდავმოსილი საზოგადო მოღვაწე, მაღალი იდეალებით გატაცებული, გონებით ახოვანი, საამო შესახედავი, სულით მგზნებარე და მუდამ ფაქიზი".

ა. როგორ იგონებს მას იაკობ მანსვეტაშვილი: „ლ. აღნიაშვილი უცნაური, თავისებური კაცი იყო, „ორიგინალი", რუსები რომ იტყვიან. ერთ დღეს გადაწყვიტა, რომ ევროპული ტანისამოსი აღარ უნდა ეტარებინა და შეიმოსა ქართულ ძველებურ ტანისამოსში. ჩაიცვა ქართული მოკლე ყურთმაგებიანი გულამოჭრილი ქულაჯა, გაიკეთა გულზე ლამაზი ატლასის დოშლუღი, ფეხზე ჩაიცვა ჭვინტებიანი მაღალყელიანი ქართული წუღები, თავზე მოიგდო ბუხრის ქუდი. გვერდზე კოხტად ჩატეხილი და დაიარებოდა ასე ქუჩაშიაც და სამსახურშიაც..." იტყოდა ღიმილით: „ეს ნამდვილი ქართული ჩაცმულობაა!" ესეც უნდა ითქვას: აღნიაშვილი მოხდენილი ტანისა და სახის კაცი იყო და ეს ტანისამოსი უკეთ უხდებოდა, ვიდრე ევროპული" (ი. მანსვეტაშვილი „მოგონებანი", თბ. 1985 წ., გვ. 93).

ა, ასეთი პედაგოგები და მოქალაქეები გამოდგნენ მომავალი თაობისათვის ზნეობრივი აღზრდის მაგალითებად.

ლ. აღნიაშვილმა დიდი ამაგი დასდო თავისი ერის კეთილდღეობას. იგი ერთი იმ ჭეშმარიტად სასიქადულო მამულიშვილთაგანია, რომელთა გვარებს ხშირად არ მოიხსენიებენ და დროებით მივიწყებულნი არიან, მაგრამ საკმარისია გადაეშალოთ ისტორიის ფურცლები და მათი გვარებიც გამობრწყინდება.

ციური ბერიძე

*ქ. რუსთავის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელი*

მწერალი და ჟურნალისტი თამაზ ხმალაძე ჩვენი ჟურნალის ყოველთვის გულშემატკივარი და აქტიური თანამშრომელია. ვაპირებდით შეგვხმიანებოდით მას თავისი ნახევარსაუკუნოვანი იუბილის დღეებში, მაგრამ დაგვიგვიანდა: ამასობაში მან ჯერ ჟურნალისტთა კავშირისა და რადიოჟურნალისტთა ასოციაციის ჯილდოები მიიღო": პრემია – ღირსების მედალი; ხოლო ახლახან ღირსების ორდენით დააჯილდოვეს. გულით ვულოცავთ ბატონ თამაზს მიღწეულს და ახალ-ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ. ჩვენს მკითხველს კი ვთავაზობთ გაზეთ „ახალ ცალლაში" ამ ბოლო ფაქტთან დაკავშირებით დაბეჭდილ ორ მცირე პუბლიკაციას.

## დამსახურებული ჯილდო



ნებისმიერ დარგს ჰყავს გამორჩეული მუშაკები, ახლახან საქართველოს რადიოს კიდევ ორ ასეთ მუშაკს დაუფასდა ღვაწლი: – დირექტორსა და მსახიობს **თინა ელბაქიძეს** მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი, ხოლო ლიტერატურულ-დრამატული პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარ რედაქტორს, მწერალ **თამაზ ხმალაძეს** კი – ღირსების ორდენი.

მათ ჯილდოები დაიმსახურეს არა მარტო თავიანთი პროფესიონალიზმითა და შემოქმედებით, არამედ ზნეობითაც. არც ერთი მათგანის შინაგანი სიმტკიცე და მოქალაქეობრიობა არ გაუბზარავს ბოლო პერიოდის ძნელბედობის წლებს. ასეთი ადამიანები სჭირდება არა მარტო რადიოს, სცენასა და მწერლობას, არამედ მთელ საქართველოს, განსაკუთრებით ახლა.

თამაზ ხმალაძე კარგა ხანია უძღვება პოპულარულ რადიოპროგრამას „ენაჲ შემკული და კურთხეული"

რადიოპროგრამა

# „ენაჲ შემკული და კურთხეული"

ქართული ენის სიწმინდის დაცვას საქართველოს რადიოში, რა თქმა უნდა, ადრეც ექცეოდა ყურადღება და თავისი წარმატებები ჰქონდა, მაგრამ სისტემატური ხასიათი, თანაც პროგრამული სახით, ამ ექვსიოდე წლის წინ მიეცა. 1992 წლის ძნელი და სუსხიანი თებერვლის ერთ საშაბათს ეთერში გავიდა ყოველკვირეული რადიოპროგრამა „ენაჲ შემკული და კურთხეული", და მას შემდეგ აგერ, ექვს წელზე მეტია, რაც ჩემს ავადმყოფობას, (მადლობა უფალს!), არც შვებულებას (ამ ხნის განმავლობაში შვებულებაში არ ვყოფილვარ), ხელი არ შეუშლია, რომ გადაცემა ყოველკვირა მისულიყო მსმენელამდე.

პროგრამის ჩამოყალიბებასა და დახვეწას დიდი ღვაწლი დასდო აწ გარდაცვლილმა ენათმეცნიერმა და მრავალმხრივმა მოღვაწემ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ყოფილმა დირექტორმა ბესარიონ ჯორბენაძემ და თსუ პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა. მაგრამ, როგორც ვიქტით, ერთმა უდროოდ გარდაიცვალა ზღვიურ საქართველოში, მეორემ კი ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების დაარსების შემდეგ გამოსცა გაზეთი, ამჟამად ჟურნალი „ბურჯი ეროვნებისა", და ჩვენთვის ხშირად ვეღარ იცლის. ამ ექვსი წლის მანძილზე, რა თქმა უნდა, ბევრი სხვა ავტორიც მონაწილეობდა ჩვენს გადაცემებში, გვეხმარებოდა უანგაროდ, თუმცა მათი სახელისა და გვარის დასახელება დღეს არ გვეხერხება, მაგრამ მადლობელი უნდა ვიყოთ ყველასი.

რადიოპროგრამა „ენაჲ შემკული და კურთხეული" დღევანდელ ეტაპზე საკითხის გაშუქებისას ძირითადად სამ ასპექტს ითვალისწინებს: ქართული ენის კონსტიტუციურ სტატუსსა და აქედან გამომდინარე, ენის კანონის მომზადებას, ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას, ენობრივ დარღვევებსა და შეცდომებზე მითითებასაც, გამოვყოფთ ყველაზე გავრცელებულ ენობრივ და სტილისტურ დარღვევებს და კეთილმოსურნის პოზიციიდან ვუთითებთ მასზე. ხშირად დამრღვევს არ ვასახელებთ, რადგან ჩვენი მიზანი საქმის გამოსწორებაა და არა წაძახილი ან დასჯა.

ჩვენი საქმის საკმაო მხარდაჭერას ვგრძნობთ ტელერადიოკორპორაციის ხელმძღვანელობისაგანაც, რომ არა მისი დახმარება, გაჭირდებოდა ამ პროგრამის ასეთი ინტენსიურობით მომზადება, მაგრამ მომავლისათვის უფრო მეტ თანადგომას ველით.

რა სამწუხაროც უნდა იყოს, დღეს ენობრივი პოლიტიკა, მშობლიური ენის მდგომარეობა ბევრად უფრო არასასურველ დონეზეა, ვიდრე ამ ავადსახსენებელი სამოცდაათი წლის მანძილზე, როგორც მოპყრობის, ისე მისი დაცვის თვალსაზრისით. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერსაც და ენასაც თითქოს იმუნიტეტი ჰქონდა გამომუშავებული „მოძალადე" რუსული ენის წინააღმდეგ, ბოლო ხანებში კი ისე დაუფიქრებლად, ლამის სიამოვნებით ვუგებთ ფეხქვეშ ხალიჩას ინგლისურ ენას, რომ ხვალინდელი დღე არ გვაფიქრებს. ამჟამად უცხოენოვან წარწერებსა და რეკლამებზე არ მოგახსენებთ, ბოლოს და ბოლოს, რეკლამების მოშლა ოდესმე ძალისმიერი მეთოდებითაც შეიძლება (ღმერთმა გვაშოროს), მაგრამ ხალხის ფსიქიკაში, აზროვნებაში ჩაზრახნილი მისთვის ერთ დროს უცხოსა და მიუღებელ ენობრივ სტრუქტურებს მომავალში ძნელად თუ ეშველება რამე.

თამაზ ხმალაძე

ახლახან ამ სათაურით ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოვიდა ძველი ქართული ლიტერატურისა და ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ცნობილი მკვლევრის, **ელგუჯა ხინთიბიძის** მონოგრაფია, რომელშიც ავტორისათვის დამახასიათებელი გულმოდგინებითა და სკრუპულოზურობით ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით განხილულია და შესწავლილი ქართველურ ტომთა სახელწოდებანი სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით.

ინტერესი ქართველთა უძველესი სახელწოდებების კვლევისადმი ძალიან დიდია. თავი რომ დავანებოთ ხალხურ ეტიმოლო-

# ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია




გიებს, ამ საკითხის მეცნიერული კვლევა XIX საუკუნის დასასრულიდან, თავდაპირველად გერმანელი მეცნიერის – ი. მარკვარტის შრომებიდან იწყება. ამ პრობლემატიკას მოიცავს ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძის, ლ. მელიქსეთ-ბეგის, ი. აბულაძის, ს. ჯანაშიას, გ. წერეთლის და სხვათა შრომები. ივერთა სახელწოდებებს ეხება ცნობილი ქართველოლოგის, გ. დეეტერსის, შრომები. ამ მიმართულებით ინტერესის ზრდას მოწმობს 1994 წელს გამოსული კრებული „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია", რომელიც მრავალი ავტორის საინტერესო შრომას შეიცავს. ამ სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზისა და ურთიერთშეჯერების შედეგად ახალი მონოგრაფიის ავტორს ჩამოყალიბებული აქვს სრულიად ახალი თვალსაზრისი: „ქართველთა სახელწოდებანი და ეთნონიმები, რომლითაც ამ ხალხს იცნობდნენ უძველესი მეზობლები, მომდინარეობენ ერთი ტოტემური სახელის სხვადასხვა ქრონოლოგიურ თუ სივრცულ დონეზე ფონეტიკურად სახეცვლილი ძირებიდან". მაგრამ, სანამ ამ ახალ თვალსაზრისს წარმოგვიდგენს, ავტორი საკმაოდ დაწვრილებით და საინტერესოდ მიმოიხილავს უძველეს წერილობით წყაროებში დაფიქსირებულ ქართველურ ტომთა სახელწოდებებს. აქ მკითხველს შეუძლია თვალი გაადევნოს საინტერესო გზას, თუ რას უწოდებდნენ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მეზობელი ხალხები საქართველოს და, მეორე მხრივ, რას უწოდებდა ქართველი ხალხი თავის თავს. ამასთან დაკავშირებით ავტორს უხდება მსჯელობა ქართველურ ტომთა განსახლებისა და მათი სახელწოდებების თაობაზე უძველესი ებრაული, ასურული, ურარტული, ბერძნული წერილობითი წყაროებისა და ქართველური სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით. სახელწოდებებთან ერთად ამ ტომთა და ქართული სახელმწიფოს ისტორია მკითხველის თვალწინ გაივლის ძველი წელთაღრიცხვიდან მოყოლებული ჩვენი წელთაღრიცხვის XV საუკუნემდე. ვისთან ჰქონდა ურთიერთობა, რომელი რეგიონი რა როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში...

ამის შემდეგ ავტორი გადადის ქართველთა უცხოური სახელწოდებების ურთიერთმიმართების კვლევაზე და ქართველთა სახელწოდებების ირგვლივ ჩატარებული კვლევა-ძიების არაბულ-სირიული **გორზ/გურზ**-იდან მომდინარეობის (რაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის მკვლევრებს აქვთ მითითებული) შესახებ მსჯელობით. პარალელურად იგი უეჭველად თვლის ევროპული სახელწოდების **გეორგიას** იმავე აღმოსავლური **გურგ/გორგ** ძირიდან მომდინარეობას და სამართლიანად უარყოფს ამ პოპულარულ ვარაუდებს, რომელთაგან ერთ-ერთი **გეორგია** სახელწოდებას წმ. გიორგის კულტს უკავშირებს, ხოლო მეორე ბერძნულ სიტყვას – „მიწისმოქმედს" (რაც შემდგომი გააზრიანების შედეგი ჩანს), თუმცა არ უარყოფს შესაძლებლობას, რომ ბერძნულ ძირს მართლაც გარკვეული როლი ჰქონდეს შესრულებული აღმოსავლეთიდან მომდინარე ეთნონიმის **გურგ/გორგ/გურჯის გეორგიად** ტრანსფორმირებაში (გვ. 20).

შემდეგ ავტორი კრიტიკულად განიხილავს იბერიის მეცნიერული ეტიმოლოგიის ცდებს და ბოლოს თანმიმდევრულად და ლოგიკურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ქართველთა ყველა უცხოური სახელწოდება (რომელიც ამ ხალხის ეთნონიმად შეიძლება ჩაითვალოს და არა სახელმწიფოებრივი გაერთიანების სახელად, ამ ქვეყანას გარკვეულ ეპოქაში რომ შეერქვა), ერთმანეთთან კავშირშია, ერთი ძირის ფონეტიკური ვარიანტებია. ეს სახელწოდებებია: ძველი სპარსული **ვრკან** (ვარკან), ბერძნული **იბერია**, სომხური **ვირქ ვერია**, ახალი სპარსული **გურჯ გურგან**, სირიული **გურზ, გურზან**, არაბული **ჯურჯ** ევროპული **გეორგია** და რუსული **გრუზია** (გვ. 27). ამ დასკვნამდე ავტორი მიდის ლინგვისტური (ფონეტიკური) განვითარების კანონების ყოველმხრივი და სრული გათვალისწინებით.

საკითხის შემდგომ კვლევას ავტორი, როგორც ლოგიკურად მოსალოდნელი იყო, ორ კითხვაზე პასუხის გაცემით იწყებს: 1) რა მიმართებაშია ქართველთა ზემოთ ჩამოთვლილი სახელწოდებები ერთმანეთთან და მათგან რომელია ამოსავალი ფორმა და 2) რა კავშირშია ქართველთა უცხოურ სახელწოდებებთან ქართველთა თვითსახელწოდება ქართველი.

პირველ კითხვას მკვლევარი გ. წერეთლის გამოკვლევაზე დაყრდნობით („საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის") სცემს პასუხს და თვლის, რომ ყველა სახელწოდების ფორმირება ახლო აღმოსავლეთში უნდა მომხდარიყო და ჩვენამდე მოღწეული ფორმებიდან ყველაზე ძველი უნდა იყოს სპარსული ვრკან.

ამას მოსდევს თანმიმდევრული კვლევა ქართველთა თვითსახელწოდებისა – **ქართველი**. ავტორი გვაცნობს სხვადასხვა ისტორიულ თუ მეცნიერულ თვალსაზრისებს (დაწყებული ლეონტი მროველის კონცეფციიდან, რომლებიც ქართლის ეტიმოლოგიების დადგენის მეცნიერულ ცდებს დაედო საფუძვლად) და ა. შანიძის ცნობილ მოსაზრებას **ქართ** ძირის **ჰართ** ძირთან მიმართების თაობაზე. კრიტიკული მიმოხილვის შემდეგ ასკვნის, რომ ქართველთა თვითსახელწოდების ეტიმოლოგია საბოლოოდ არ არის გარკვეული. იგი გვთავაზობს ახალ თვალსაზრისს – **ქართ** ფუძეს უკავშირებს vark ძირს. კვლევის შემდგომ ეტაპზე იგი ქართ ფუძიდან გამოყოფს **თ** ელემენტს, როგორც გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელ **-ეთ** სუფიქსს (რაც განსაკუთრებით მართებულად და არგუმენტირებულად მიგვაჩნია). ამგვარად, ე. ხინთიბიძე ქართ ფუძეში გამოყოფს ინდოევროპული (vr) ძირის კანონზომიერადშენაცვლე **ქარ** სეგმენტს, რომელსაც ერთვის მრავლობითის უძველესი ნიშანი **ეთ/თ**.

ამის შემდეგ კი ლოგიკურად ისმის საკითხი, ამჟღავნებენ თუ არა სხვა ქართველური ეთნოჯგუფების სახელწოდებები რაიმე მიმართებას მგლის ტოტემურ სახელთან, რომლისგანაც საწარმოებლად მიაჩნია მას **ქართ** ფუძე. ამ კითხვას ავტორი დადებითად უპასუხებს და ლოგიკურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ქართველთა სახელწოდება სხვადასხვა ენაზე შექმნილია მგლის ტოტემური ძირის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტიდან. კერძოდ **ვრ/ბრ** (ი-ბერ, ვრკ-ან, ვერ-ია) და **ქრ/გრ** (ქარ-თ, გურგ-ან, გურ-ჯ-გურ) ძირებიდან.

მგლის ტოტემის სახელის გავრცელება ევრაზიის ეთნონიმებსა და ტოპონიმებში დადასტურებულია ლინგვისტურ (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი) და ეთნოგრაფიულ (ვ. ბარდაველიძე) გამოკვლევებში.

აქედან კიდევ უფრო შორსმიმავალი დასკვნები გამოდის, რის ანალოგსაც ავტორი ხედავს ზოგიერთი ევროპული ხალხის სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ სახელწოდებებშიც – რაც, ჩვენი აზრით, შეიძლება ნ. მარის ოთხელემენტიანი თეორიისა და ნოსტრატული თეორიის ლინგვისტურ მოწმობადაც კი მივიჩნიოთ...

ცნობილია, რომ ეტიმოლოგია ლინგვისტიკის ყველაზე ფაქიზი სფეროა და თუ იგი არ არის გამაგრებული წმინდა ენათმეცნიერული არგუმენტებით, შეიძლება ადამიანური განუსაზღვრელი ფანტაზიის სფეროდ იქცეს. ვფიქრობთ, ე. ხინთიბიძის მონოგრაფია „ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია" ამ მხრივაც მეცნიერული ღირებულებით გამორჩეული ნაშრომია.

დამანა მელიქიშვილი

# სამეცნიერო ინფორმაცია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის P.10.02 c N4 (თავმჯდომარე პროფ. **გ. ქავთარაძე** ... ) და ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის P.10.01 c N5 (თავმჯდომარე პროფ. **ო. ბაქანიძე**) სადისერტაციო საბჭოთა გაერთიანებულ სხდომაზე

**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის** სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა **მიხეილ ქურდიანს.**

**სპეციალობებით:** ენათმეცნიერების თეორია და ისტორია – (10.02.02)

ლიტერატურის თეორია – (10.01.08)

**დისერტაციის თემა:** საერთო ქართველური ვერსიფიკაციული სისტემა და ლექსთწყობის ზოგადლინგვისტური თეორია.

**საბჭოს ექსპერტები:** პროფ. ი. ქობალავა, პროფ. დ. თუხარელი.

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. ზ. ჯაფარიძე, პროფ. მ. ნათაძე, პროფ. ა. სილაგაძე, პროფ. ზ. ჭარხალაშვილი.

**წამყვანი ორგანიზაციები:** შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი.

ი. ჭავჭავაძის სახელობის დასავლეთ ევროპის ენათა და კულტურათა ინსტიტუტი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1998 წლის 23 ივნისს.**

• • •

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P.10.01. c №5 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის** სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა **ინგა მირაბიშვილს.**

**დისერტაციის თემა:** პოეტური ტექსტი და მისი თარგმანი, როგორც ლინგვისტური კვლევის ობიექტი.

**საბჭოს ექსპერტი:** პროფ. თ. კობახიძე.

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. დ. გოცირიძე, პროფ. ნ. საყვარელიძე, პროფ. რ. ნიჟაძე.

**წამყვანი ორგანიზაცია:** თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1998 წლის 30 აპრილს.**

• • •

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს P.10.02. c №6 (თავმჯდომარე აკად. **თ. გამყრელიძე**) სხდომაზე.

**ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის** სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა **მაია ლომიას.**

**დისერტაციის თემა:** ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** პროფ. ე. ბაბუნაშვილი.

**საბჭოს ექსპერტი:** პროფ. ა. ღლონტი.

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. ი. ქობალავა, დოც. გ. კარტოზია.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1998 წლის 10 ივნისს.**

• • •

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის P.10.02. c №4 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

**ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის** სამეცნიერო ხარისხები მიენიჭათ

**ა) ქეთევან მარგიანს;**

**დისერტაციის თემა:** სვანური ონომასტიკა.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** აკად. ქ. ლომთათიძე, დოც. ჯ. ონიძე.

**საბჭოს ექსპერტი:** პროფ. ი. ჩანტლაძე.

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. ზ. ჭუმბურიძე, დოც. ლ. ბაბლუანი.

**წამყვანი ორგანიზაცია** ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**ბ) ლია ბუღლიძეს.**

**დისერტაციის თემა:** სვანური ანდაზების ენის ფონოლოგიურ-ეტიმოლოგიური ანალიზი.

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** პროფ. ი. ჩანტლაძე.

**საბჭოს ექსპერტი:** პროფ. ი. ქობალავა.

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. ა. არაბული, დოც. მ. ნიკოლეიშვილი.

**წამყვანი ორგანიზაცია:** სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.

დისერტაციების დაცვა გაიმართა **1998 წლის 30 ივნისს.**

# ახალი წიგნები












# საქართველოში დღესაც იქმნება შედევრები

ქართველებს ამ ბოლო დროს განსაკუთრებით დაგვჩემდა ჩვენი წარსულის გაიდეალება. გვეამაყება ქვეყნის გარდასული დიდება და თვითმყოფადი, უძველესად ქრისტიანული კულტურა.

საქართველოში დღესაც იქმნება შედევრები.

თბილისში დღესაც დიდი გემოვნებით იჭედება უნიკალური გარდამოხსნები, დაფარნები და სხვა საეკლესიო ნივთები, რომლებიც თამამად დაუდგება გვერდით ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონატებს. ეს არაჩვეულებრივი საეკლესიო ნივთები საქართველოს საპატრიარქოსა და თბილისის სასულიერო აკადემიის სასწავლო სახელოსნოში იჭედება. გარდამოხსნებსა და დაფარნებს საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი იცნობს, ტიხრული მინანქარი კი ყველა წიგნიერი ქართველისათვის ცნობილია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების ამ უნიკალურ და ურთულეს დარგში ხუთი საუკუნეა ახალი არაფერი შექმნილა.

ხახულის ღვთისმშობლის ხატი, წმინდა გიორგის ხატი და სხვა მცირეოდენი ნიმუშები, რაც ავბედით დროს გადაურჩა და ისტორიამ შემოგვინახა, საყოველთაოდ არის ცნობილი. ამ შედევრებით თავს იწონებს საქართველოსა თუ უცხოეთის მუზეუმები.

საქართველოში ტიხრულ მინანქარზე დღესაც მუშაობენ.

ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდა ხელოვანი გიორგი ლუდუშაური ამ დარგის აღორძინების სათავეში დგას. იგი თბილისში, ჩვენს გვერდით, ცხოვრობს და დახვეწილი გემოვნებითა და საოცარი სინატიფით ქმნის თანამედროვე შედევრებს. ეს ნამდვილად არ არის ხმამაღალი განაცხადი. ნახეთ გიორგი ლუდუშაურის ქმნილებანი და თავად დარწმუნდებით, თითოეული რა დიდი ოსტატობითა და სიფაქიზით არის შესრულებული.

ეს დიდი ხელოვნებაა! შესრულების მაღალი დონის გამო გიორგი ლუდუშაურის მიერ შექმნილი უნიკალური ჯვრები და ხატები ბევრს მიაჩნევია უძველეს ნაკეთობებად.

ტიხრულ მინანქარზე დღეს სხვებიც მუშაობენ. გიორგი ლუდუშაური მარტო არ არის. ეს უპრეტენზიო და თავმდაბალი ახალგაზრდა კაცი უხმაუროდ აკეთებს დიდ საქმეს და თავის გამოცდილებას სხვებსაც უზიარებს.

ნინო კვანტალიანი





## შეიძინეთ!

**ბ. ჯორბენაძე,**
**ქართული დიალექტოლოგია, ტ. II**

თბილისი, 1998 წ., 676 გვერდი.

თავი I. ქართული ენის დიალექტების ბგერითი შედგენილობა
თავი II. ხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებანი
თავი III. თანხმოვანთა ფონეტიკური ცვლილებანი
თავი IV. მორფემათა ფონეტიკური ნაირსახეობანი

წიგნი დაიბეჭდა მცირე ტირაჟით.
ფასი 7 ლარი.

კოლექტიური შეკვეთის შემთხვევაში
(10–ზე მეტი)
ფასი შეღავათიანია.

ბ. ჯორბენაძის საზოგადოება
პ. ინგოროყვას ქ. №8. ოთახი 103







ეროვნული
ბიბლიოთეკა